საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცილებით და ჭორებით ბრძოლის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-კვირა, 8-9 ივნისი. 2019 წ. №115 (8781) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ვინ გააკონტროლებს ანაკლიის პორტს?!

ეს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პრობლემაა!

4

გული არ გაიტეხოთ, ფოთელებო!

ფოთის ღრმაწყლოვანი ნავმისადგომი 2020 წლის ბოლოს სრული დატვირთვით იმუშავებს!

რას უპირისპირებს ნატო რუსეთის ბირთვულ საფრთხეს?

8



გაფრთხილდით!

მოსალოდნელია ყველაზე ცხელი ზაფხული

12

ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

კვლავ კონრად ვალენროდობასაც რომ განატრებინებს

6

მერაბ ბერძენიშვილი — დიდი შემოქმედი, გულანთებული რაინდი

5

მამუკა ბახტაძე: საქართველოში აღმოსავლეთი ხვდება დასავლეთს, ჩრდილოეთი – სამხრეთს, უძველესი ტრადიციები – ინოვაციებს!

საქართველო პატარა, თუმცა დიდი ხედვის მქონე ქვეყანაა, რომელიც იმ გზაჯვარედინზე იმყოფება, სადაც აღმოსავლეთი ხვდება დასავლეთს, ჩრდილოეთი — სამხრეთს, უძველესი ტრადიციები — ინოვაციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს და სადაც ეკონომიკური შესაძლებლობები უხვადაა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ კალიფორნიის Commonwealth club-ში საჯარო გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა საქართველოში არსებულ შესაძლებლობებსა და აშშ-თან მჭიდრო სტრატეგიულ პარტნიორობაზე.

„შევეცდები, სამი რიცხვით დაგამახსოვროთ საქართველო: ესენია 1, 28 და 8000. პირველი რიცხვია 1. საქართველოში პირველად გვყავს ქალი პრეზიდენტი — სალომე ზურაბიშვილი. ის პირველი ქალი პრეზიდენტია საქართველოში და მთელს რეგიონში და არჩეულია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე 6-წლიანი ვადით. თავად არჩევნებიც ისტორიული მოვლენაა ჩვენი ქვეყნის წინსვლის გამო მრავალფეროვნებისა და დემოკრატიის მიმართულებით. მეორე რიცხვია 28. ზუსტად ამდენი წელია, გავთავისუფლდით საბჭოთა კავშირიდან და დემოკრატიული განვითარების საკუთარ

გზას დავადექით, როგორც დამოუკიდებელი ერი. სიამაყით ვაცხადებ, რომ შეერთებული შტატები საქართველოს გვერდით იდგა ამ გზაზე ყველა ნაბიჯის გადადგმისას“...

მთავრობის მეთაურის შეფასებით, კომუნიზმისგან თავის დაღწევის შემდეგ, საქართველო მტკიცედ შეუდგა დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის გზას, რაც მოიცავს ისეთი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ქმედითი და წარმომადგენლობითი დემოკრატიაა და ამომრჩევლების წინაშეა ანგარიშვალდებული.

„განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველო ყველაზე რეფორმატორ ქვეყნად მიიჩნევა მსოფლიოში. ეს არის ყველაზე სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპის მქონე ქვეყანა რეგიონში და ფართოდ არის აღიარებული ბიზნესი კეთების სიმარტივის გამო. მსოფლიოში მესამე ადგილზე ვართ საგადასახადო განაკვეთების სიმცირით. კაპიტალდაბანდება ჩვენს ხალხში და თანამედროვე ინფრასტრუქტურაში განვახორციელეთ, რაც ნაბიჯ-ნაბიჯ აყალიბებს საქართველოს რეგიონის ცენტრად. ჩვენი ძალისხმევის შედეგად, დღეს ნატოსა და ევროკავშირის ზღურბლზე ვიმყოფებით, სავაჭრო შეთანხმებებს ვაფორმებთ ისეთ მეგობრებთან და მოკავშირეებთან, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. მსოფლიო ბანკის ჯგუფის შეფასებებით, საქართველო მე-6 ადგილზეა ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსში, ხოლო „ფრეიზერის ინსტიტუტის“ რეიტინგით მე-7 ადგილზე ვართ ეკონომიკური თავისუფლების მხრივ, ხოლო ღია მმართველობაზე ნაკისრი ვალდებულების საფუძველზე მე-5 ადგილზე ვართ ღია ბიუჯეტის ინდექსში. ყველა მნიშვნელოვანი მაჩვენებელი სწორი მიმართულებით ვითარდება — იქნება ეს პრესის თავისუფლება, ეკონომიკური ზრდა, რომელიც 5 პროცენტს აღემატება და სამეზობლოში ორჯერ მეტია, ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციები თუ სხვა“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მესამე რიცხვი, რომელზეც პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა, 8 000-ია, ვინაიდან, მისი თქმით, სწორედ ამდენი წლის ისტორიას ითვლის ღვინის წარმოება საქართველოში.

იხ. 2 გვ.

<u>მამუკა ბახტაძე:</u> საქართველოში აღმოსავლეთი ცვდება დასავლეთს, ჩრდილოეთი – სამხრეთს, უძველესი ტრადიციები – ინოვაციებს!

(პირველი გვერდიდან)

„არქეოლოგების კვლევების შედეგად, საქართველო მსოფლიოში მეღვინეობის სამშობლოდაა აღიარებული. საქართველოში მეღვინეობის ტრადიცია 8 000 წლის წინათ დაიწყო, დამწერლობის შექმნამდე 3 000, ხოლო რკინის ხანის დაწყებამდე 5 000 წლით ადრე. ქართული დამწერლობაც კი ვაზის ლერწმის მოხაზულობას წააგავს. ქართული წარმოშობისაა ვაზის ბევრი ჯიში, რომელიც დღეს ევროპასა და აზიაში მოჰყავთ. ამ სასმლის აღმნიშვნელი სიტყვა დასავლეთის ბევრ ქვეყანაში განსხვავებულადაა დამკვიდრებული, თუმცა ყველა მათგანი სავარაუდოდ ქართული ძირისაგან წარმოსდგება და ჟღერადობითაც წაგავს ღვინოს. ახლა კალიფორნიამ უკვე ბევრი რამ იცის ღვინის შესახებ. ჩემი ინფორმაციით, პირველი კალიფორნიული ღვინო 1760 წელს ჩამოისხა. თქვენ მსოფლიოში ამ სასმლის მე-5 უმსხვილესი მწარმოებელი ხართ – წელიწადში 240 მილიონი კასრი ისხმება და 75 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ეკონომიკური საქმიანობა წარმოებს, 300 000 და მეტი სამუშაო ადგილი იქმნება – და ეს ყველაფერი კალიფორნიის ფარგლებში. სავსებით არ არის ცუდი მაჩვენებელი ორიოდე ასეული წლის მქონე საქმიანობისთვის. საქართველოში 8 000 წლის განმავლობაში ტემპი ცოტათი დაბალი იყო, თუმცა ჩვენს ღვინოს დაძველება უხდება. როდესაც ერთსა და იმავე საქმეს აკეთებ 8000 წლის განმავლობაში, საბოლოოდ ნამდვილად იხვეწები“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ქართველები გაუტეხელი, პირდაპირი, ერთგული, ოპტიმისტი და თავდაჯერებული ხალხია, თუმცა, კვლავ გამოწვევების წინაშე იმყოფება. მამუკა ბახტაძემ ყურადღება გამახვილა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციაზე, რომლის შედეგად მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი, იძულებული გახდა, საკუთარი სახლი დაეტოვებინა.

„ახლა, 8000-წლიანი მეღვინეობის ტრადიციისა და საბჭოთა ოკუპაციის 70-წლიანი გამოცდილების შემდეგ რუსეთს არ მივცემთ ჩვენი მომავლის განსაზღვრის უფლებას. სრულად ვაკონტროლებთ ჩვენს ბედისწერას და მომავლის ხედვას, რაც შემდეგ ამბიციას ეფუძნება: საცხოვრებლად, სამუშაოდ და განსავითარებლად შევქმნათ მსოფლიო დონის ქვეყანა. ჩვენი ტერიტორიების დაბრუნებას გარკვეული დრო დასჭირდება, მაგრამ საბოლოო ჯამში აუცილებლად მივაღწევთ მიზანს. ეს ნამდვილად არ მოხდება ძალის გამოყენებით. მხოლოდ დემოკრატიული გზით, შესაძლებლობების გაჩენის, განვითარებისა და ჰუმანური გზით“, – განაცხადა პრემიერმა.

მამუკა ბახტაძემ ისაუბრა საქართველოსა-შშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი ასპექტების შესახებ და ხაზი გაუსვა ძლიერ ორმხრივ სამხედრო თანამშრომლობას.

„საქართველო ძლიერი სამხედრო მოკავშირეა აშშ-ისთვის. ის არის რუსეთის აგრესიისთვის წინააღმდეგობის გამწევი დემოკრატიის შუქურა. ჩვენ მაღალ წონით კატეგორიაში ვასპარეზობთ გლობალური პოლიტიკის რინგზე. ქართველი სამხედროები ჩვენი მოკავშირეების მხარდამხარ იბრძვიან ავღანეთსა და ერაყში. მახარებს, რომ აშშ-ის კონგრესმა ჩვენი სტრატეგიული მნიშვნელობა აღიარა და ორპარტიული მხარდაჭერით ვსარგებლობთ. გასულ თვეში წარმომადგენლობითი პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტმა საქართველოს მხარდამჭერი აქტი დაამტკიცა, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის აგრესიისგან ჩვენი სუვერენიტეტის დაცვას და რუსეთის ავანტიურიზმი დასჯადი გახდება სანქციებისა და სხვა მნიშვნელოვანი ბერკეტების გამოყენებით. საქართველო დედამიწაზე ბოლო დიდი და ბოლომდე აღმოუჩენელი ადგილია. ჩვენი ბუნება შავი ზღვის სანაპიროდან იშლება ევროპაში ყველაზე მაღალ მთათა სისტემამდე და კავკასიონის დიდ კალთებს მოიცავს. ჩვენ გვაქვს ღვინის წარმოების ხელშემწყობი კლიმატი, რაც ჩრდილოეთ კალიფორნიის ამინდს წააგავს. ჩვენს კულტურას ფესვები გადგმული აქვს ევროპულ ღირებულებებსა და ცივილიზაციაში. გახსნილები ვართ ბიზნესის კეთებისთვის და მივესალმებით კალიფორნიელ მეწარმეებს, რომლებიც საქართველოში მრავლად არსებულ შესაძლებლობებს გამოიყენებენ. ჩვენი რეგიონული ბაზარი გულისხმობს ნახევარ მილიარდ მომხმარებელზე წვდომას. ჩვენი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო უნიკალურ შესაძლებლობებს ვთავაზობთ ამერიკელ ბიზნესმენებს, რომლებიც ევროპისა და აზიის ბაზრებზე გასვლას ერთი გეოგრაფიული ადგილიდან მოახერხებენ“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერმა ისაუბრა განათლებაში კაპიტალდაბანდების ზრდაზე, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სფეროში ინოვაციების დანერგვის პროცესსა და ინოვაციების საფუძველზე საქართველოში ეკოსისტემის შექმნაზე.

„საქართველო პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც „ბლოკჩეინის“ ტექნოლოგია საჯარო სამსახურში გამოიყენება მომსახურების მიწოდების მიზნით. ახლახან წარვადგინე ჩვენი „მწვანე ეკონომიკის“ სტრატეგია, რომელიც ეფუძნება გარემოს დაცვის პრინციპს, რათა მთელს ქვეყანაში გაუმჯობესდეს ეკოლოგიური მდგომარეობა და მომავალი თაობებისთვის მოხდეს ბუნებრივი რესურსების დაზოგვა და გაფრთხილება. ორი პრიორიტეტი მაქვს გამოკვეთილი ამ სტრატეგიაში – ადრე არსებული უპასუხისმგებლო ეკოლოგიური ვითარების მართვის შედეგების განეიტრალება და არსებული ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება ისე, რომ საქართველოს გამოკვეთილი როლი იყოს უზრუნველყოფილი მწვანე ეკონომიკის კონტექსტში. შედეგად მოვიზიდეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადი, რომელიც მზის პანელებისა და ელექტრონული მანქანების წარმოებას მოიცავს“, – აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ინვესტიციების განხორციელების მნიშვნელობას ინფრასტრუქტურაში, მათ შორის თანამედროვე გზებში, პორტებში და მაღალი პროფესიული უნარების მქონე, კვალიფიციური სამუშაო ძალის შექმნაში. პრემიერმა აღნიშნა, რომ განათლების სექტორში სახელმწიფო ბიუჯეტის მეოთხედის დახარჯვა იგეგმება, შედეგად კი ცოდნის ინდუსტრიაზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წილობრივად სულ მცირე 12 პროცენტი დაიხარჯება.

„რევოლუციური ტექნოლოგიების ეპოქაში, მინდა, საქართველო ცოდნის რევოლუციის მოწინავე ხაზზე იყოს. ამ ძალისხმევის კონტექსტში ავაშენებთ ახალ პროფესიულ სასწავლებლებს, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა მაღალი ტექნოლოგიების საინჟინრო და სხვა პრაქტიკული უნარების დაუფლება შეძლონ. სან-დიეგოს შტატის უნივერსიტეტს საქართველოში წარმომადგენლობა აქვს და თბილისში ბაკალავრის ხარისხს ანიჭებს მის კურსდამთავრებულებს. ვისურვებდი მეტ პარტნიორობას კალიფორნიის მსოფლიო დონის აკადემიურ სასწავლებლებთან. საინტერესო მიმართულებებზე ვმუშაობთ სტენფორდის უნივერსიტეტთან, საქართველო წინ მიიწევს და თავად აკონტროლებს მის ბედისწერას. ჩვენ მხარდამხარ ვიბრძვით აშშ-სა და სხვა ერებთან დემოკრატიის, შესაძლებლობებისა და ჩვენი ცივილიზაციის დასაცავად. გვჭირდება ამერიკის დახმარება, რათა მომავალშიც წარმატებულად ვიაროთ წინ“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სიტყვით გამოსვლის შემდეგ, მთავრობის მეთაურმა საჯარო დისკუსიაზე შეკრებილი აუდიტორიის კითხვებს უპასუხა.

სააკაშვილმა კლიჩკოსთან ერთად არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა!

მესამე პრეზიდენტმა და ოდესის ოლქის ექსგუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა ვიტალი კლიჩკოს პარტია „უდარის“ თავმჯდომარეობაზე და მასთან ერთად არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა. ამის შესახებ უკრაინული გამოცემა „უკრაინსკაია პრავდა“ იუწყება.

4 ივნისს კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ სააკაშვილს შესთავაზა მისი პარტიის თავმჯდომარეობა დარიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობა. ვიდეომიმართვაში, რომელიც მან „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა, განაცხადა, რომ მზად არის უკრაინაში დაბრუნებულ სააკაშვილს „პოლიტიკურად მხარში ამოუდგეს“.

მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მაქალაქეობა პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ 28 მაისს დაუბრუნა, 29მაისს კი სააკაშვილი უკრაინაში ჩავიდა.

4 ივნისს ზელენსკის გუნდში სააკაშვილთან თანამშრომლობა არ გამორიცხეს. პრეზიდენტის წარმომადგენელმა უმაღლეს რადაში რუსლან სტეფანჩუკმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე იმსჯელებდნენ. ბრიუსელში მყოფმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ ეტაპზე საკაშვილისთვის თანამდებობის მინიჭების საკითხს არ განიხილავს. თავად სააკაშვილმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური ამბიციები არ გააჩნია და რაიმე თანამდებობის დაკავებისკენ არ ისწრაფვის.

თუ ქაოტური მშენებლობა გაგრძელდება, თბილისი სანიაღვრე სისტემის კოლაფსის წინაშე დადგება!

„მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა“-ზების ხარისხის მიხედვით გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2018 წელს საქართველოს 82-ე ადგილი მიანიჭა. შვიდბალიანი შეფასებით 3,8 ქულით შეფასდა გზების ხარისხი საქართველოში და სამხრეთ აფრიკაში მდებარე ბოტსვანის რესპუბლიკისა და ცენტრალური ამერიკის სახელმწიფო ჰონდურასის გვერდით აღმოჩნდა. დაბალი შეფასების უმთავრეს მიზეზად შიდა გზები დასახელდა. თუმცა, იმ პერიოდში გამოკითხული მმართველი გუნდის წარმომადგენელთა უმრავლესობა ირწმუნებოდა, რომ პრობლემა არც ისე საგანგაშოა, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ავტორიტეტული ორგანიზაცია აფასებდა.

დღეს ჟვანიას მოედნის ორჯერ ჩანგრევამ დედაქალაქის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს აღიარებინა, რომ : **„თბილისში მიწისქვეშა კომუნიკაციები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. შესაბამისად, ქუჩებს, მხოლოდ გზის საფარის გამოცვლის გარდა, აუცილებლად სჭირდება სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების სრული რეაბილიტაცია. პრობლემები განსაკუთრებით გაამძაფრა იმან, რომ ქალაქში წლების განმავლობაში ქაოტური ურბანული განაშენიანება მიმდინარეობს“.**

გზების მშენებლობას რომ ფუნდამენტური მიდგომა სჭირდება, უკვე ხმამაღლა საუბრობს თბილისის მერი კახა კალაძეც: **„ჟვანიას მოედნის შემთხვევა ნათელი მაგალითია, რომ ფუნდამენტური პროექტები უნდა განხორციელდეს.“**

ურბანისტი **ზურაბ ბაქრაძე** თვლის, რომ თბილისს სერიოზული პრობლემები აქვს და აუცილებელია, დასრულდეს ისეთი უთავბოლო მშენებლობები, რომელიც არ არის დაგეგმილი და გათვლილი.

„ყველამ იცის და იცოდა, რომ მიწისქვეშა კომუნიკაციების პრობლემებია და ოდესღაც საქმის კეთებაც დაიწყეს. პატარა ქუჩებზე თუ ასფალტის საფარს ხსნიდნენ შესაკეთებლად, მიწისქვეშა კომუნიკაციასაც მიაყოლებდნენ ხოლმე. ეს ძალიან პატარა ნაწილი იყო იმ აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც ქალაქში არსებობს. ხან სად ჩავარდება ეს გამორეცხილი ქუჩა და ხან სად. დამატებითი განაშენიანება, გაზრდილი სიმჭიდროვე, გაყიდული კოეფიციენტები ზედმეტად ტვირთავს მიწისქვეშა კომუნიკაციებს, თუმცა ამასთანავე იტვირთება გზებიც, მოძრაობაც, სკოლებიც... ყველაფერი იტვირთება. წლების მანძილზე ყიდდნენ კოეფიციენტებს და განუზომლად ტვირთავდნენ კომუნიკაციებს. კარგია, რომ კოეფიციენტების გაყიდვა შეწყვიტეს და ახლა ალბათ, დაიწყებენ იმაზე ფიქრს, როგორ მოაგვარონ შექმნილი პრობლემები“.

კომერსანტის კითხვაზე, არსებობს თუ არა იმის საფრთხე, რომ დედაქალაქი სანიაღვრე სისტემის კოლაფსის წინაშე დადგეს – ურბანისტი გვპასუხობს, რომ თუ ქაოტური მშენებლობა გაგრძელდება, შეიძლება, თბილისი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

„განაშენიანება არავის შეუწყვეტია, ამიტომ შეიძლება დედაქალაქში უარესი სიტუაცია შეიქმნას. მშენებლობა მიერთებულია არსებულ საკანალიზაციო ქსელზე, რომელიც ამ დატვირთვას ვეღარ უძლებს და ჟვანიას ქუჩის მსგავსი ავარიები კიდევ შეიძლება მოხდეს. ვინც ასეთ განაშენიანებას უშვებდა, იმას თავის დროზე უნდა ეფიქრა. ახლა თითქოს დაფიქრდნენ და თქვეს, აღარ გავყიდითო k2 კოეფიციენტს და ვნახოთ, რამდენად რეალურად შესრულდება ეს დაპირება“, – აცხადებს ზურაბ ბაქრაძე.

მენაშენეთა ასოციაციის დამფუძნებელი ირაკლი როსტომაშვილი მაია ბითაძეს არ ეთანხმება, რომ მიწისქვეშა კომუნიკაციების პრობლემა მხოლოდ ქალაქის განაშენიანებას უკავშირდება.

„კომუნიკაციები ზიანდება სხვადასხვა ფაქტორის გამო, მათ შორის ყველაზე მთავარი არის უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები“, – ასე აფასებს ის მერის მოადგილის განცხადებას.

ირაკლი როსტომაშვილი კომერსანტთან საუბარში განმარტავს, რომ მიწისქვეშა კომუნიკაციის დაზიანება არ შეიძლება ერთი მიზეზით იყოს განპირობებული.

„მე მთავარ პრობლემად განაშენიანებას ვერ დავასახელებდი. ყველა კონკრეტული შემთხვევა სანახავია. ჩემი აზრით, ახალი კომუნიკაციები უფრო კარგია, ვიდრე ძველი. მიწისქვეშა კომუნიკაციები შეიძლება ცუდად იყოს დაგეგმარებული, მაგრამ გაკეთებული იყოს ხარისხიანად და არ ჟონავდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მიწისქვეშა კომუნიკაციები საძირკველს უქმნის პრობლემას და შენობების ავარიულობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. მაგალითად, ფონიჭალაში არის კომუნისტების პერიოდში დაუმთავრებელი შენობები, სადაც საერთოდ სანიაღვრე სისტემები არ არის. ისტორიულ ზონაში მთაწმინდაზე, სოლოლაკში, ავლაბარში არის ერთმანეთზე გადასული თუჯის, თიხის, აზბესტის მილები. იქ ურბანული ქაოსი არ იყო, მაგრამ პრობლემური ტერიტორიაა, რადგან დრომოჭმული და დაზიანებული ინფრასტრუქტურაა. უფრო მეტიც, მიწისძვრებმა ამ კომუნიკაციებს დანიშნულება შეუცვალეს, ანუ თვითდინებით აღარ მიდის და გუბდება. აბსოლუტურად სხვა პრობლემაა სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე იმიტომ, რომ კომუნიკაციები იქ არასწორადაა დაგეგმარებული. ვაკეში, სადაც ინტენსივობა გაიზარდა, მილები, რომელიც დაანგარიშებული იყო პირობითად 1000 ოჯახზე, ახლა 5000 ოჯახს ემსახურება. ამიტომ ვამბობ, რომ სხვადასხვა პრობლემებია და ერთი დიაგნოზის დასმა შეუძლებელია. და რაც მთავარია, საინჟინრო კომუნიკაციები ეკუთვნის ქალაქს, ანუ ტექნიკურ პირობას ქალაქი გასცემს,“ – აცხადებს ირაკლი როსტომაშვილი.

ბაჩო ადამია

ნავთობი დიდი სისწრაფით იაფდება, საქართველოში ამას ვერ „ხედავენ“!

მსოფლიოშიც და საქართველოშიც საწვავის გაიაფების დრო დადგა. **უკვე კვირაზე მეტია, ნავთობი თავბრუდამხვევი სისწრაფით გაიაფდა, რასაც ნავთობიმპორტიორების ადეკვატური რეაქციაც უნდა მოჰყვეს.**

მსოფლიო ბანკმა 2019 და 2020 წლებში ბარელი ნავთობის ფასის პროგნოზი 66 და 65 დოლარამდე შეამცირა. ამის შესახებ ბანკის მიერ გუშინ გამოქვეყნებულ ანგარიშში – „მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივა: დაძაბულობის ზრდა, ინვესტიციების დაცემა“, არის ნათქვამი.

„როგორც პროგნოზირებენ, ნავთობის ფასი შეადგენს საშუალოდ 66 დოლარს 2019 წელს ერთ ბარელზე და 65 დოლარს – 2020 წელს. ეს უმნიშვნელო ცვლილებაა შემცირების მიმართულებით იანვრის თვის შეფასებასთან შედარებით და ასახავს გლობალური აქტივობის შესუსტებას.

პროგნოზი რჩება საკმაოდ გაურკვეველი და დამოკიდებულია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. კერძოდ, გაგრძელდება თუ არა 2019 წლის მეორე ნახევარში ნავთობის მოპოვების შემცირების შეთანხმება ოპეკის წევრ ქვეყნებსა და მის პარტნიორებს შორის“, – აღნიშნულია ანგარიშში.

ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ნავთობის ფასმა აღდგენა დაიწყო და შეადგინა, საშუალოდ, 64 დოლარი ერთ ბარელზე, რასაც ხელი შეუწყო ოპეკისა და მისი პარტნიორების შეთანხმებამ, ასევე აშშ-ის გადაწყვეტილებამ, გაეკეთებინა გამონაკლისები ირანის წინააღმდეგ სანავთობო სანქციებიდან. საბოლოოდ, მთელი გაზაფხული „შავი ოქრო“ ნელ-ნელა ძვირდებოდა და საბოლოოდ 76 დოლარსაც მიაღწია.

რამდენიმე დღის წინათ კი ყველაფერი ელვისებურად შეიცვალა და ნავთობმა თავბრუდამხვევი გაიაფება დაიწყო. ამჟამად 1 ბარელი 61 დოლარი ღირს. მიზეზი მსოფლიო ეკონომიკის შენელება, სავაჭრო ომები და ჭარბი მიწოდებაა.

საქართველოს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელის **ვანო მთვრალაშვილის** შეფასებით, ფასზე ერთდროულად რამდენიმე ფაქტორმა მოახდინა გავლენა, რის გამოც ბირჟებზე ვითარება უკიდურესად დაიძაბა.

„ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური კრიზისია. ირანის გარშემო კვლავინდებურად დაძაბული სიტუაციაა და დაწესებული სანქციები თავიდან ბოლომდეა ამოქმედებული, რის ფონზეც ნავთობზე ფასები ცვლილებას განიცდის. ბოლო ერთი კვირაა, მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა და შეიძლება ითქვას, ჩამოიშალა ფასი, რისი უმთავრესი მიზეზი ქვეყნებს შორის მიმდინარე სავაჭრო ომია.

ეს გახდა წინაპირობა იმისა, რომ უახლოეს პერიოდში ნავთობზე გლობალური მოთხოვნა შემცირდება. აქვე იგულისხმება ეკონომიკის ზრდის ის დონე და ტემპი, რომელსაც პროგნოზირებდნენ, მაგრამ მიღწეული არ იქნება.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ნიუანსი პირდაპირ გავლენას ახდენს ფასზე. საკმაოდ რთული მოცემულობა შეიქმნა. ფასი წამოვიდა კლებისკენ, მაგრამ მარაგი გაზრდილია, წარმოებაც (მათ შორის, ფიქალური ნავთობისა), მნიშვნელოვნად არის მომატებული. მთლიანობაში ბევრი წინააღმდეგობრივი მომენტია. ერთი მხრივ, ძალაშია ის პროცესი, რაც საწვავის გაძვირებას უკავშირდება და, მეორე მხრივ, ყველა მოცემულობა – ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება, სავაჭრო ომი შეერთებულ შტატებს, მექსიკასა და ჩინეთს შორის, ფასის შემცირებაზე მოქმედებს“, – ამბობს მთვრალაშვილი და დასძენს, რომ მისთვის ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გამოძახილი მოჰყვება საერთაშორისო პროცესებს საქართველოში და როგორ შეიცვლება ფასები მომდევნო პერიოდის განმავლობაში, როცა ლარი საკმაოდ არის გაუფასურებული.

„საერთაშორისო ფასი საქართველოშიც მოახდენს გავლენას, მაგრამ ჯერ პროგნოზი ნაადრევია. გაიაფების პროცესი რამდენიმე დღის დაწყებულია, ტენდენცია შენარჩუნდება თუ შეიცვლება, ამაზეა დამოკიდებული ადგილობრივი ბაზარიც. ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღის ტენდენციას ვაკვირდებით და ასე მოკლე პერიოდში პროგნოზს ვერ გავაკეთებთ. მთავარია, ის მოცემულობა შენარჩუნდეს, რაც საწვავის გაიაფებას უზრუნველყოფს. აქ მნიშვნელოვანია ლარის კურსიც, რომელიც ბოლო პერიოდის განმავლობაში ძალიან იყო გაუფასურებული“, – აღნიშნა მთვრალაშვილმა.

ბექა დანელია

— რედაქციისგან: —

ეს მერამდენედ ვისმენთ ნავთობის მყრალი ფულით გაქსუებული ვანო მთვრალაშვილის თაღლითურ განცხადებას: ტენდენციას ვაკვირდებით, თუ გაიაფების პროცესი გაგრძელდება, საქართველოში ბენზინს მერე გავაიაფებთო! ეს უკვე მერამდენედ, თვალებში ნაცარს გვაყრით, ბატონო ვანო!.. მაინც რამდენი თეთრით გააიაფებთ ფასს?! ისევ 5 ან 10 თეთრით ხომ არა?! ჯანსაღი საბაზრო კონკურენცია და ოპერატიულად ფასების რეგულირება როდის უნდა ისწავლოთ?! როდემდე უნდა ყვლიფოთ ხალხი?!

თვალი დაგიდგეთ, მძღოლებო! თუნდაც ორი დღით გამოაცხადეთ საყოველთაო პროტესტი, არ გამოხვიდეთ ქუჩაში, არ ჩაასხათ აზერბაიჯანული ბენზინი და ნახავთ „დაძმობილებული“ ბაქო-თბილისის ნავთობმაფიოზები ბენზინს გაგიიაფებენ თუ არა!

უსინდისოდ გატყუებენ! ფართოდ გაახილეთ თვალები!..

მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს ჩინური სტრატეგია – „ერთი სარტყელი ერთი გზა“ წარმოადგენს. აღნიშნული ინიციატივა ორი მეგაპროექტისგან შედგება: „გზის ეკონომიკური სარტყელი“ და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა“. ზუსტად ამ კონტექსტშია ანაკლიის პროექტი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ერთ-ერთ ლოჯისტიკურ ცენტრად და აბრეშუმის გზის მარშრუტზე სტრატეგიულ კვანძად აქცევს.

2020 წლისთვის პორტს შეეძლება წელიწადში 8 მილიონი ტონა მოცულობის ტვირთის გატარება, რაც დაახლოებით 900 ათასი კონტეინერის მიღებას გულისხმობს წელიწადში. ნავსადგურში პირველი გემების მიღება 2020-21 წლებშია დაგეგმილი. ჩინეთის დაინტერესება ანაკლიის პროექტით თვალში საცემია. ანაკლიისა და ჩინეთის პორტებმა თანამშრომლობის მემორანდუმი ჯერ კიდევ შარშან გააფორმეს. შარშანვე „ანაკლია სითის“ მოსაწყობად რამდენიმე ჩინურ კომპანიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა.

– რა უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის – ანაკლიის თუ ფოთის პორტების განვითარება?! ამის შესახებ For.ge-ს ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი ესაუბრა.

ვინ გააკონტროლებს ანაკლიის პორტს?!

ეს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პრობლემაა!

– ანაკლია, თუ ფოთი?! რა გითხრათ, ღრმაწყლოვანი პორტი შავი ზღვის სანაპიროზე უაღრესად მნიშვნელოვანია. ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება სჯობს თუ ანაკლიის, ეს უკვე სპეციალისტების გადასაწყვეტია. თავის დროზე, როცა ეს საკითხი შეისწავლეს, ანაკლიას მიანიჭეს უპირატესობა. ეგ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც პოლიტიკური ვნებათაღელვის პლანში უნდა გადაწყდეს, ამას პროფესიული განხილვა სჭირდება. როგორც მე ვიცი, საბოლოო გადაწყვეტილებაა მიღებული, რომ ანაკლიის პორტი აშენდეს, როგორც ახალი ღრმაწყლოვანი პორტი, რომელსაც თავისი ინფრასტრუქტურა ექნება და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს გლობალურ პროექტში. არა მგონია, მთავრობამ პოზიცია შეიცვალოს. ყველაფერი, რაც ახლა ხდება, პოლიტიკური კონიუნქტურითაა ნაკარნახევი.

– ჯერ კიდევ ამ ორიოდე თვის წინათ „თბილისი ბანკის“ ირგვლივ შექმნილი პრობლემების გამო ფოთის პორტმა დააანონსა, რომ ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას თავად აპირებდა. ეს შემთხვევითი არ იქნებოდა და ამის გაგრძელება იყო სულ ახლახან გავრცელებული ინფორმაცია, ფოთში ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის ნებართვის შესახებ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ნაბიჯი გამიზნულად მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ იყო გადადგმული?

– რასაკვირველია, აქ იყო ხაზარაძესთან დაკავშირებული პრობლემები და ამის უარყოფა შეუძლებელია. თუმცა არა მგონია, სამომავლოდ ვითარება პრინციპულად შეიცვალოს და საფრთხე შეექმნას ანაკლიის პორტის მშენებლობას.

– ვერსიები შეიძლება მრავლად იყოს. არც ისაა გამორიცხული, ანაკლია იმიტომაც დაიწუნეს, რომ მისი სახელი მიხეილ სააკაშვილის სახელთან იგივდებოდა.

– ეს არ არის ახალი პროექტი, დიდი ხანია, მიმდინარეობდა ამ პროექტის დამუშავება. ცნობილი ინჟინერი სპარტაკ ერაგია მუშაობდა ამ პროექტზე. მანამდე, საბჭოთა დროიდან მსჯელობდნენ მასზე, რომ აქ შეიძლება ყოფილიყო ღრმაწყლოვანი პორტი და ეს პორტი უნდა აშენებულიყო. ამ ძველ იდეას სააკაშვილმა თავისი პიარტექნოლოგიური თვალსაზრისით გარკვეული მოგება, პოლიტიკური დივიდენდები მოატანინა. მის დროს უნიკალური ვითარება იყო იმ თვალსაზრისით შექმნილი, რომ კონსტიტუციაში ჩაწერეს ქალაქ ლაზიკის სტატუსი, რომელიც რეალურად, პრაქტიკულად, არც არსებობდა, ანუ აუშენებელი ქალაქი იყო მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციაში და უცნაური რამ ეწერა, ლაზიკის სტატუსი განისაზღვრება სპეციალური კანონითო.

– ზუსტად იმ პერიოდში ამერიკაში მცხოვრები ბიზნესმენი დავით კარტოზია ამბობდა, რომ ლაზიკის პროექტის იდეა სწორედ მას მოჰპარა სააკაშვილმა.

– დიახ, მახსოვს დავით კარტოზიას ნათქვამიც. მილიონნაირი პროექტი შეიძლება ყოფილიყო, მანდ მთავარი მაინც ისაა, რომ საქართველოსთვის ასეთი საჭიროება არსებობს, რათა სატრანსპორტო სისტემის განვითარებისთვის გლობალური უსაფრთხოება შეიქმნეს და გლობალური თვალსაზრისით საქართველოს ჰქონდეს ისეთი მნიშვნელოვანი პორტი, რომელიც არსებითად შეცვლის ძალთა განლაგებას არა მარტო შავ ზღვაზე, არამედ მთლიანად, გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტშიც. ეს რამდენჯერმე აქვს ამ ხელისუფლებას ნათქვამი და ბევრჯერ გამეორებულა, რომ ამ თვალსაზრისით არაფერი შეიცვლება, რადგან ანაკლიის პორტი სტრატეგიულია საქართველოსთვის და დარჩება სტრატეგიულად.

– ცხადია, შავი ზღვის აუზში ნატოს გააქტიურების კვალდაკვალ ანაკლიის პროექტი მნიშვნელობას იძენს. ამის მიუხედავად,ხელისუფლების მცდელობა იყო, ფოთის პორტისთვის მიენიჭებინა უპირატესობა. ეს მაშინ, როცა, ექსპერტთა გათვლით, ფოთის პორტი ვერასოდეს შეასრულებდა ანაკლიის ფუნქციას. უფრო მეტიც, ანაკლიის ახალი პორტი პერსპექტივაში 180-200მილიონ ტვირთს გადაამუშავებდა, რაც ბევრად მეტია, ვიდრე ერთად აღებული ბათუმის, ფოთის, ყულევის, სუფსის პორტები.

– ეს ასეა, მაგრამ შესაძლებელია ფოთის პორტის განვითარება, თუმცა ამას სერიოზული რეკონსტრუქცია დასჭირდება. ამიტომაც სპეციალისტების ანალიზით, ფოთის პორტის რეკონსტრუქციას, ფოთში არსებული ნავსადგურის გადაკეთებას სჯობს, ახალი აშენდეს თანამედროვე ტექნოლოგიებით, მოთხოვნებით. ამაზე დიდი ხანია, სპეციალისტები აღარ კამათობენ. რა თქმა უნდა, აქ ყველაფერი ურთიერთკავშირშია – პოლიტიკური ინტერესები, საგარეო და საშინაო ურთიერთობები. მე არ ველოდები, რომ რაიმე გადაისინჯება ანაკლიის პორტთან დაკავშირებით. ახლა კონსტიტუციაში ისევ წერია ანაკლიის პორტი, ლაზიკა აღარ წერია. ეს ნიშნავს, რომ ახალი ქალაქის აშენება და პიარული გადაწყვეტილებები უკვე აღარ არის საჭირო და საუბარია იმაზე, რაც რეალური, ხელშესახებია, ანუ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ახალი პორტი უნდა აშენდეს.

– რუსეთის ინტერესზეც მინდა გკითხოთ. როდესაც საუბარი იყო მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ დაწყებულ ქმედებებზე, მაშინაც გახმიანდა, რომ ბიძინა ივანიშვილს სწორედ რუსეთმა ურჩია, არ აეშენებინა ანაკლია.

– ეს ტრადიციული თემაა, რომელიც ივანიშვილის გამოჩენისთანავე ქართულ პოლიტიკაში გათამაშდა. რა თქმა უნდა, რეალისტური ამის უკან არაფერი არ არის. აქამდე ვერც ვერავინ დაასაბუთა ასეთი რამ. ის, რომ ივანიშვილს ასეთი კავშირები აქვს რუსულ პოლიტიკასთან და რუსეთის გავლენის აგენტია, შეთქმულების თეორიის ნაწილია.

– ფაქტია, ანაკლიასთან მიმართებით ხელისუფლებამ უკან დაიხია და ფოთის პორტის თემა უკვე მიიჩქმალა. ეს იმით ხომ არ აიხსნება, რომ დასავლეთმა მოითხოვა ანაკლიის პროექტის გაგრძელება?

– აქ ბევრი ინტერესი იკვეთება, საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური, რუსეთის ინტერესებიც, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და ეს არაერთგზისაა გაცხადებული. მე არ ვფიქრობ, რომ ხელისუფლებიდან ვინმემ უკან დაიხია ანაკლიასთან მიმართებით, ან პოზიცია გადასინჯა. ასევე, მცდარია იმაზე ლაპარაკი, თითქოს საქართველომ საგარეო პოლიტიკური მიმართულება შეცვალა.

– თავის დროზე პრემიერის რანგში მყოფი ბიძინა ივანიშვილი აცხადებდა, რომ ლაზიკა ანაკლიის პორტთან მიმართებით ძალიან აგებდა, რადგან ანაკლიას გაცილებით დიდი პოტენციალი გააჩნდა. ამ განცხადების შემდეგ გაუგებარი იყო ფოთის პორტით ხელისუფლების დაინტერესება.

– როდესაც სააკაშვილი ლაზიკაზე ლაპარაკობდა, სინამდვილეში, ანაკლია ჰქონდა მხედველობაში, ანუ ანაკლიის მიდამოებში ქალაქის აშენება, რომელიც არა მარტო ნავსადგური იქნებოდა, კიდევ სხვა ფუნქციებიც ექნებოდა და ვითომც მთელი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცენტრი უნდა გამხდარიყო.

– სააკაშვილის დროს ანაკლიას აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენის დატვირთვაც ჰქონდა.

– რასაკვირველია, ეს კარგი იდეაა, რადგან ანაკლია აფხაზეთის საზღვართან ახლოსაა და ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც ამიტომ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ საპნის ბუშტი, არაფერი რეალური იმის უკან სააკაშვილის დროს არ იდგა. ეს საპნის ბუშტი გაიბერა როგორც საპროპაგანდო მასალა და იქამდე გაიბერა, რომ, როგორც გითხარით, კონსტიტუციაში ანეკდოტურად ჩაიწერა არარსებული ლაზიკა, რომელსაც რეალური პროექტის სახე ჯერ არ ჰქონდა. დღეს სხვა ვითარებაა და საუბარია იმაზე, რომ შავი ზღვის სანაპიროზე ამ ადგილას უნდა აშენდეს ღრმაწყლოვანი პორტი, რომელსაც ექნება გლობალური ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. არა მგონია, ეს ვინმემ შეცვალოს და რომელიმე კონკრეტული ხელისუფლების ნებაზე იყოს დამოკიდებული.

მეტსაც გეტყვით, ხელისუფლება რომც შეიცვალოს, არა მგონია, ეს სწორი იდეა გადასინჯვას დაექვემდებაროს. რა თქმა უნდა, იქნება გარკვეული ინტერესთა კონფლიქტი ეკონომიკური ჯგუფების მხრიდან, იქნება დაპირისპირებაც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს არ იმოქმედებს ანაკლიაზე. შეიძლება, ინტერესთა კონფლიქტმა ცოტათი შეაფერხოს ამ პროექტის განხორციელება, მაგრამ ისიც შეიძლება, დააჩქაროს კიდეც ამ პროექტის ხორცშესხმა.

– ანაკლიის სახელი ჩინურ ინვესტიციებთან გადაიჯაჭვა. საინტერესოა, ამერიკა დაუშვებს კავკასიაში ჩინური კაპიტალის გაბატონებას?

– აქ ბევრი ინტერესია, სხვათა შორის, სპარტაკ ერაგიას პროექტი ტექნიკური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი და მასშტაბური იყო, ვიდრე ხაზარაძის კონსორციუმი აპირებს, გააკეთოს. რატომ ითქვა სპარტაკ ერაგიას პროექტზე უარი მაშინ და ხომ არ იყო ეს ჩინელების წინააღმდეგ გარკვეული ეკონომიკური დემარში, ეს არ ვიცი. შეიძლება ისიც რეალობა იყოს, რაზეც თქვენ მიანიშნებთ, რომ ამერიკას არ უნდა ჩინური ინვესტიციების გაძლიერება საქართველოში. აქ ხომ გეოპოლიტიკური ინტერესებია და ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ გლობალური ეკონომიკური პროექტი. სამომავლოდ ძალიან მნიშვნელოვანია ანაკლიის პერსპექტივა. ანაკლიის პორტი ძალიან მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებში და მთავარია, თუ ვინ გააკონტროლებს ამ პორტს? თუნდაც ფინანსურად ვინ იქნება მისი მთავარი ინვესტორი? ეს ძალიან მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური საკითხია, რადგან აქ არა მარტო ეკონომიკური ტვირთების გატარებაზეა საუბარი, არამედ სამხედრო ტვირთებისაც. ამდენად, ყველა მოსაზრებას, ყველა მოარულ ხმას საფუძველი აქვს. მათ შორის, იმასაც, რომ ამერიკელებმა დაბლოკეს ჩინელების მონაწილეობა ამ პროექტში.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

გული არ გაიტეხოთ, ფოთელებო!

ფოთის ღრმაწყლოვანი ნავმისადგომი 2020 წლის ბოლოს სრული დატვირთვით იმუშავებს!

ფოთის ნავსადგურში ახალი, მულტიფუნქციური საზღვაო ტერმინალის მშენებლობისა და მართვის პროექტს, რომელსაც კავკასიის რეგიონში უმსხვილესი სატრანსპორტო კომპანია „Pace Georgia“ ახორციელებს, აშშ-ის კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციის (OPIC) მიერ 50 მილიონი დოლარით უკვე დაფინანსდა. ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია ორი კვირის წინ ვაშინგტონში გაიმართა.

კომერსანტი დაინტერესდა, რა ეტაპზეა ახლა სამშენებლო მოსამზადებელი პროცესები, როდის იგეგმება მშენებლობის დაწყება-დასრულება, ვინ იქნება პროექტის მთავარი ინვესტორი და რა რაოდენობის ინვესტიცია იგეგმება.

პეის ჯგუფში შემავალი კომპანია „Pace Georgia“-ს გენერალური დირექტორი ირაკლი თათეიშვილი კომერსანტთან ექსკლუზიურად საუბარში აცხადებს, რომ პროექტი ჯამში 120 მლნ აშშ დოლარის ღირებულებისაა. პირველი ფაზა 93 მლნ დოლარს მოიცავს. ღრმაწყლოვანი ნავმისადგომი 2020 წლის ბოლოს სრული დატვირთვით იმუშავებს.

„პროექტი ეკონომიკის სამინისტროსთანაა შეთანხმებულია. ტერიტორია, სადაც „პეის ჯგუფი“ საპორტო ინფრასტრუქტურას ავითარებს, 25 ჰექტარს მოიცავს. ახლა ტენდერი ტარდება და ივლისის თვეში გაირკვევა კომპანია, რომელიც ტერმინალს ააშენებს. ვფიქრობთ, სექტემბერში აქტიური მშენებლობა დაიწყება. გრაფიკის მიხედვით განსაზღვრულია 18 თვე, რათა სამშენებლო ნაწილი მთლიანად დასრულდეს. ღრმაწყლოვანი ნავმისადგომი შესაძლებლობას იძლევა დამატებით 3 მლნ. ტონა ტვირთი იყოს მოზიდული, საუბარია აზერბაიჯანსა და შუა აზიის ქვეყნებში წარმოებულ ქიმიური მრეწველობის პროდუქტებზე. შემოსავალი, რაც საქართველომ შეიძლება მიიღოს, არის დაახლოებით 60-70 მლნ დოლარი წელიწადში. ვთვლით, რომ პროექტს რეგიონის ეკონომიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მის ფარგლებში მოხდება საპორტე ინფრასტრუქტურის განვითარება,“ – აცხადებს ირაკლი თათეიშვილი.

„Pace Georgia“-ს გენერალური დირექტორი აზუსტებს, რომ ტვირთი ძირითადად იქნება იმ სახის, რომლის მომსახურებასაც დღევანდელი საპორტე ინფრასტრუქტურა ვერ ახერხებს. მიზეზი, მისი თქმით, არის ის, რომ ბათუმის და ფოთის პორტს სათანადო ინფრასტრუქტურა არა აქვს. „Pace Georgia“-ს გენერალური დირექტორი კომერსანტთან იმასაც განმარტავს, როდესაც ტერმინალი სრული დატვირთვით დაიწყებს მუშაობას, ადგილზე 200 ადამიანი დასაქმდება.

გაჩო ადამია

მერაბ ბერძენიშვილი – დიდი შემოქმედი, გულ-ანთებული რაინდი



მერაბ ბერძენიშვილი იმ თაობის ხელოვანთ განეკუთვნება, ე.წ. „50-იანელთა“ სახელით მოყოლებული, რომ იწოდებიან. ქართველ შემოქმედთა ამ ძლიერმა კოჰორტამ ჩინებულად გამოიყენა პოსტსტალინური ლიბერალიზაციით „ბოძებული“ შესაძლებლობა, შედარებით თავისუფლად გამოევლინა საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი. ამ დროიდან ათვლილი საკავშირო მასშტაბით მოწყობილ გამოფენებზე აშკარად წარმოჩინდა ქართული სახვითი ხელოვნების ყველა დარგში, უპირველესად კი, დაზგურ ქანდაკებაში აკუმულირებული ძლიერი ენერგეტიკული მუხტი და ეროვნული სახისმეტყველების საოცარი კოდი.

ეროვნული სახვითი ხელოვნების სხვა დარგებისგან განსხვავებით, შედარებით ახალგაზრდა ქართულმა მრგვალმა ქანდაკებამ მისი შექმნის სათავეებთან მდგომი იაკობ ნიკოლაძისა და ნიკოლოზ კანდელაკის – ორი განსხვავებული შემოქმედებითი მიმართულების მეთოდური საფუძვლების გაზიარებით, მოკლე დროში მოახერხა, ეროვნული მონუმენტურ-დაზგური პლასტიკის ტრადიციებისათვის მყარი ფუნდამენტი შეექმნა. ცალკერძ ევროპული და ცალკერძ რუსული ტრადიციების შემოქმედებითი გათავისებით - ლაბილურ-ემოციური, თუ პირიქით, მკაცრად სტრუქტურირებული, ერთგვარად „ჩახრახნილი“ სკულპტურული ფორმების გარემომცველ ჰაერის მასებთან ზემოქმედების ასპექტების გათვალისწინება, რთული შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტის წინაშე აყენებდა ახალგაზრდა მოქანდაკეებს. ამას ემატებოდა გასული საუკუნის შუახანებში, ჯერ კიდევ არსებული, „ზემოდან“ დანერგილი უნიფიცირებული საბჭოური იმპერატივი-მოთხოვნა, რომელიც მონუმენტური, პოლიტკორექტულობის დაცვის ნიშნით აღბეჭდილი, პროპაგანდისტული ძეგლის შექმნას გულისხმობდა.

1956 წელს, ნიკოლოზ კანდელაკის კლასით, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული მერაბ ბერძენიშვილი დამოუკიდებელ შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა სადიპლომო პროექტით, რომელიც შოთა რუსთაველის ძეგლის შექმნას ითვალისწინებდა. იმთავითვე ავტორიტეტული საკავშირო კომისიის მიერ შემოქმედებით გამარჯვებად აღიარებული ეს ნამუშევარი ოქროს მედლით აღინიშნა. ამ ქანდაკების პირვანდელი ვერსია, ამჟამად ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკის შენობას ამშვენებს, ხოლო 1966 წელს შოთა რუსთაველის ბრინჯაოში ჩამოსხმული ძეგლი მოსკოვში აღმართეს. უნდა აღინიშნოს, რომ მერაბ ბერძენიშვილის არაორდინარული ნიჭის ეს აღიარება საკმაოდ რთული უნდა ყოფილიყო იმ ფონზე, როდესაც ქართული ქანდაკების განვითარების ასპარეზზე თითქმის ერთდოულად გამოჩდნენ ისეთი ძლიერი ძალები, როგორებიც იყვნენ ელგუჯა ამაშუკელი, გიორგი და ირაკლი ოჩიაურები, მერაბ მერაბიშვილი, ჯუნა მიქატაძე, გულდა კალაძე და სხვები. მათ მომდევნო თაობის (60-იანელების) ნიჭიერ მოქანდაკეებთან ერთად ქართული ქანდაკების შემდგომი განვითარების გზის განსაზღვრა და ეროვნული პლასტიკის ტრადიციების გამრავალფეროვნება ერგო წილად.

მერაბ ბერძენიშვილი დაიბადა 1929 წლის 10 ივნისს ქალაქ თბილისში. ხელოვნებისადმი მიდრეკილებას ისიდორე ბერძენიშვილის უფროსი ვაჟი, შემდგომში შესანიშნავი მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილიც გამოავლენს, სახვითი ხელოვნებისადმი მიმართული ეს მძლავრი გენეტიკური კოდი ამ არაჩვეულებრივი საგვარეულოს შთამომავლებში კვლავ ცოცხალია.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი დედაქალაქის მიმზიდველობა, მისი დასამახსოვრებელი იერსახე დიდადაა დავალებული მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი გამორჩეული არტიფაქტებით, იქნება ეს დავით გურამიშვილის, დავით აღმაშენებლის, ზაქარია ფალიაშვილის, დეკორატიული ქანდაკება „მუზა“ თუ თბილისის სხვადასხვა ადგილას დადგმული, ჩვენი კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების ილია ჭავჭავაძის, კოტე მარჯანიშვილის, ტიციან ტაბიძის, ნოდარ დუმბაძის სკულპტურული პორტრეტები. მოქანდაკემ არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ საქართველოს მრავალ კუთხეში შექმნა განსაკუთრებული სილუეტური გამომსახველობის, ემოციური ძალის, შინაგანი დრამატიზმის და პატრიოტული შემართების მქონე სკულპტურული კომპოზიციები – კასპში ცხენზე ამხედრებული გიორგი საკაძის ქანდაკება, მარნეულში „კიდევაც დაიზრდებიან“, საგარეჯოში „ჯარისკაცის მამა“, შავ ზღვაში შეჭრილი (ბიჭვინთის საკურორტო ზონაში) ექსპრესიულობით გამორჩეული ქანდაკება „მედეა“, საქართველოს სახელმწიფო პრემიით აღნიშნული დიდგორის სკულპტურული მემორიალი და მრავალი სხვა. ამ საოცრად პროდუქტიულ მოქანდაკეს მრავალი შემოქმედებითი დაკვეთა ჰქონდა შესრულებული უცხოეთის ქვეყნებისთვისაც: ლაოსის მეფის სკულპტურული გამოსახულება თუ ამერიკის შეერთებული შტატების მიჩიგანის შტატში განხორციელებული თავისუფლების სიმბოლური ქანდაკება „სიცოცხლე“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა არტიფაქტებმა წარმატებით გაართვეს თავი ულმობელი და ცვალებადი დროის გამოცდას და დაადასტურეს, რომ მათ დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა და ისინი არა მხოლოდ თბილისის, არამედ, მის ფარგლებს გარეთ არსებულ სხვადასხვა საერთაშორისო ურბანულ თუ რურალურ გარემოში საოცრად ორგანულად ჩაეწერნენ.

სამიოდე წელია, რაც ეს სრულიად გამორჩეული გარეგნობისა და პიროვნული ხიბლის მქონე დიდი შემოქმედი გამოაკლდა ქართველ ხელოვანთა რიგებს. მერაბ ბერძენიშვილი გარდაიცვალა 1916 წლის 17 სექტემბერს, მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა არა მხოლოდ ქართული ქანდაკების ისტორიაში, ჩვენი ღრმა რწმენით, მის მიერ შექმნილი მრავალი შედევრი, განსაკუთრებით კი, ეს ეხება დავით გურამიშვილის ქანდაკებას, რომელიც თავისი ხარისხის ნიშნით უმაღლესი სინჯის მქონე საერთაშორისო პლასტიკის აღიარებული ნიმუშია. აღსანიშნავია, რომ დავით გურამიშვილის ქანდაკებას, ისევე, როგორც მერაბ ბერძენიშვილის მრავალ სხვა ნამუშევარს, სანამ ესა თუ ის მხატვრული ფორმა მისთვის შერჩეულ გარემოსთან ადაპტირებას მოახდენდა, ხშირ შემთხვევაში სირთულეების გადალახვა უხდებოდა. მნიშვნელოვანია, რომ ეს სირთულეები თავად ქანდაკების მასების გარემოსთან სინთეზის ბუნებრივ პროცესს როდი ახლდა, არამედ ადამიანთა მიერ ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს უკავშირდებოდა. ასე მაგალითად, დავით გურამიშვილის ქანდაკებისთვის ავტორის მიერ შერჩეულ მასალაში განხორციელებისათვის თურმე მოსკოვში საგანგებოდ შეკრებილ საბჭოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რაც დიდწილად, კომისიის თავმჯდომარის ნებაზე იყო დამოკიდებული. როგორც ჩანს, თავმჯდომარე იმ დღეს უხასიათოდ იყო, ამიტომ იმ მასალას, რომელშიც წარმოედგინა ავტორს ქანდაკების განხორციელება, ვეტო დაადო. მაგრამ მერაბ ბერძენიშვილის შეუპოვრობამ იხსნა მისი ჩანაფიქრი და მისი პრინციპული პოზიცია მისაღები და გასაზიარებელი აღმოჩნდა მათთვისაც, ვისზეც იყო დამოკიდებული მასალაში ჩამოსხმის საკითხი. ასე არაერთგზის უხსნია მერაბ ბერძენიშვილს სხვათა უხეში ჩარევისაგან თავისი შვილივით ნალოლიავები მხატვრული იდეები.

აღსანიშნავია, რომ, როგორც რენესანსული ეპოქის ხელოვანთათვის იყო დამახასიათებელი შემოქმედებით ინტერესთა მრავალმხრივობა, ქანდაკების გარდა იგი დიდი გატაცებით მუშაობდა როგორც მხატვარი-მონუმენტალისტი (ფრესკა „მხატვრის სახელოსნო“); ფერმწერი („ძმის პორტრეტი“ „დედობა“, „გურია“, „ბათუმი“, „ფიროსმანის სიკვდილი“ და სხვა); გრაფიკოსი (ქართული ხალხური ზღაპრები: „ბროწეულის გოგონა“ და „ადიხანჯალა“). მას ეკუთვნის სათეატრო ესკიზებიც (რ. ლაღიძის და გ. ნახუცრიშვილის კომედიისთვის „კომბლე“ და სხვ.)არაჩვეულებრივი სახიერებით გამოირჩევა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შესრულებული პლაკატები და აფიშები (კ. მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებული სპექტაკლისთვის „რიჩარდ მესამე“, ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ეროვნული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისათვის და სხვ.).

მერაბ ბერძენიშვილი, როგორც ნამდვილი „ჰომო უნივერსალე“, მწერლური ნიჭითაც აღმოჩნდა დაჯილდოებული, მას ლექსების თხზვაც ხელეწიფებოდა. არაჩვეულებრივად იკითხება ქართულ და რუსულ ენებზე გამოსული მისი მემუარული ჩანაწერები („ზარი“ 1979წ.). მათში კეთილშობილი, დიდი ბუნების და ამავე დროს ფაქიზი, მგრძნობიარე სულის პიროვნება, საოცარი გულწრფელობით გადაგვიშლის თავის ცხოვრების საინტერესო ფურცლებს, დაუვიწყარ შეხვედრებს ადამიანებთან. მერაბ ბერძენიშვილის მრავალმხრივ ნიჭიერებას ემატებოდა კოლეგებთან, სტუდენტებთან, ჩვეულებრივ ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული უნარი, რასაც მოქანდაკის სიყვარულის ნიჭი ასაზრდოებდა. მას არც რეგალიები, საპატიო ორდენები და მედლები აკლდა. ის იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოსა და რუსეთის სახალხო მხატვარი, საქართველოსა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდენტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 2001 წ. მერაბ ბერძენიშვილს გადაეცა ნობელის პრემიის ლაურეატის ფ. ნანსენის სამახსოვრო მედალი; 2002 წ. აშშ საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის ჯილდო „მეოცე საუკუნის მიღწევებისათვის“; 2013 წ. სახელოვან მოქანდაკეს ქართულმა მართლადიდებლურმა ეკლესიამ გადასცა უმაღლესი ჯილდო წმ. გიორგის ოქროს ორდენი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ასეთი დიდი აღიარებისა მას სიცოცხლის ბოლო წლებში მაინც დასწყვიტეს გული. ჯერ იყო და ქუთაისში პარლამენტის გადატანასთან დაკავშირებით, პარლამენტის შენობის ასაგებად ადგილის მოსუფთავების მიზნით, აუფეთქეს მემორიალური კომპლექსი, რომელსაც შეეწირა გამვლელი დედა-შვილი. მერე კი ჩვენი სახელმწიფოს სათავეში მდგომმა ჩინოვნიკებმა მოქანდაკის დაუკითხავად მისი ცხენზე ამხედრებული დავით აღმაშენებლის ქანდაკება ქალაქის ცენტრიდან დედაქალაქის სხვა უბანში გადაიტანეს. რამდენად მოიგო ქანდაკებამ ამ ადგილმონაცვლეობით, სხვა საკითხია. აუცილებელი იყო უფრო მეტი ყურადღების გამოჩენა ავტორისადმი და მაშინ გული არ დაგვწყდებოდა, რომ ისედაც დასნეულებულმა დიდმა ხელოვანმა გულნაკლულმა დატოვა წუთისოფელი და სამუდამო განსასვენებელი დაიმკვიდრა ზეციურ სასუფეველში. მაგრამ იმით ვინუგეშებთ თავს, რომ ჩვენი ერის საამაყო შვილმა, შთამომავლობას დაუტოვა უდიდესი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც რაც დრო გავა, კიდევ უფრო დაფასდება.

საქართველოს
მხატვართა კავშირი

კვლავ კონრად ვალენროდობასაც რომ განატრებინებს

ქუთაისის თეატრი იმ თავყრილობისას ისე გადაიჭედებოდა, ნემსიც არ ჩავარდებოდა.

კათედრაზე შედგებოდა გიორგი ზდანოვიჩი, შავ სერთუკში გამოწყობილი, ერობის შემოღების აუცილებლობას რომ ირწმუნებოდა, რათა ხალხსაც მიეღო სრულუფლებიანი მონაწილეობა ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

ორატორის სიტყვა ვიღაც-ვიღაცებს არ მოეწონებოდათ და ხმაურსაც ატეხდნენ, მაგრამ წარბსაც ვერ შეახრევინებდნენ ორატორს, უფრო დინჯადაც გააგრძელებდა ლაპარაკს, ოღონდ ფრაზებს მეტად გამოკვეთდა.

და აი, ერთ-ერთ ქანდარელს... სულაც ტყვია უნდა ესროლა მისთვის.

საპროვოკაციოდ?

მოსაკლავად?

საბედნიეროდ, ტყვია უნდა ასცდენოდა გიორგი ზდანოვიჩს და მხოლოდღა სერთუკის კალთის ქვედა დაშვებული ნაწილი გაეხვრიტა.

რა გასაკვირია, ხალხი რომ არეულ-დარეულიყო, ზოგი შეშინებულიყო და გაქცევაც დაეპირებინა, ზოგიც აყვირებულიყო.

ეგ იყო, პოლიცია კრინტსაც არ დაძრავდა, ხელსაც არ გაანძრევდა და გულგრილად თუ გაიხედ-გამოიხედავდა გარშემო.

გიორგი ზდანოვიჩი ნირშეუცვლელად დარჩებოდა კათედრაზე, ისეთი მშვიდი, თითქოსდა არც არაფერი მომხდარიყოს, და ჩოჩქოლი რომ მიწყნარდებოდა, იტყოდა:

— მე აქ ვიღაც ხულიგანმა რევოლვერი მესროლა, ტყვიამ სერთუკში გამიარა, ალბათ, ეგონა, რომ ეს შემაშინებდა და სიტყვას შევწყვეტდი. ის უბადრუკი შეცდა, მე ტყვია მკერდშიც რომ მომხვედროდა, თუ ლაპარაკის უნარი მექნებოდა, ვიდრე ჩემს სათქმელს არ დავამთავრებდი, ამ ტრიბუნიდან არ ჩამოვიდოდი...

ამგვარ ეპიზოდებს ხშირად კიდეც თხზავენ ხოლმე, რათა რაც შეიძლება აამაღლონ და გააზვიადონ თავიანთ გმირთა სახება, მაგრამ ელგუჯა თავბერიძეს შესათხზველი არა ჰქონდა რა, რადგანაც თვითმხილველთა მონათხრობს ეყრდნობოდა, ზუსტ სურათს აღადგენდა და მის გარშემო შემოგარსავდა სიუჟეტურ ქარგას ნოველისა „სერთუკის კალთა“.

დოკუმენტურიო, — განსაზღვრებად დაურთავდა. თუმც დოკუმენტალიზმი ამ შემთხვევაში გულისხმობს, მისი პერსონაჟები თავთავიანთი გვარ-სახელებით რომ მოქმედებენ და ამბები და ეპიზოდები უკიდურესი სიზუსტით არის წარმოსახული, თორემ თხრობის ხელოვნებით, სიუჟეტის გაშლის სიმარჯვითა და ექსპრესიით, ხასიათების გამოკვეთის სიღრმითა და გონებამახვილობით შორს სცილდება ქრონიკის ჩარჩოებს და იმ ქმნილებებად წარმოგვიდგება, ჩვენი სამწერლო ცხოვრების ერთ-ერთ მონაპოვრად რომ გვეგულება.

მკვლევარის, არქივებისა და ძველი პერიოდიკის თავდადებული მკითხველ-მჩხრეკელის გარჯას უნდა მოეკრიბა ის ოქროს მარცვლები, რომლებიც შესაფერისადაც უნდა აებრწყინებინა ელგუჯა თავბერიძეს ერთმანეთზე გადაბმისა და დასავიწყებლად ძალიან და ძალიან დასანანი სურათების აღდგენის წყალობით, და ამასობაში სულ უფრო ხელშესახებად და მკვეთრად წარმოესახა ქუთაისის პანორამა, რითაც უშუალოდ გაეგრძელებინა შალვა დადიანისა და რეზო ჭეიშვილის მიერ სათავედადებული ტრადიცია, სწორედ ამ მწერლური ძალ-ღონის მემკვიდრეს რომ გულისხმობდა, ელგუჯა თავბერიძე როგორადაც გამოჩნდებოდა: მკვლევარიც და მწერალიც.

დოკუმენტურიო, — თავს დაიზღვევდა, ვითომდა უფრო მეტს ნურას მოსთხოვთ ამ ჩანაწერებს, ვიდრე ისტორიული სურათების გაცოცხლებააო, მაგრამ გაცოცხლებაც არის და გაცოცხლებაც — როდესაც იმ დიდებული წამოწყების ღირსეული გამგრძელებელი და მონაწილე შეიქნები, ეს უკვე სხვა რანგი და სხვა ღვაწლია, სხვა განზომილება, „ხეზე ასვლასა“ და „ქარის ფრთებს“ ძველი ამბების ქრონიკათა არაორდინარულ კრებულებად რომ გაქცევინებს.

ისე ვარლამ შალამოვიც ირწმუნებოდა, ყოფითი რეალობიდან ოდნავადაც არ გადამიხვევია ჩემი ნოველების შექმნისას, ყველაფერი დოკუმენტურ წყაროებზეა ამოზრდილიო. მაგრამ დოკუმენტალიზმი მისი ნოველებისა მხოლოდღა ფონია, რომლის მიღმაც უჩვეულო და შთამბეჭდავი მხატვრული სამყარო უნდა გადაიშალოს.

ამ ყაიდის მწერალი სხვაც შეიძლება გაგვეხსენებინა, მაგრამ ვარლამ შალამოვის გამოსარჩევად მიბიძგა ელგუჯა თავბერიძის განსაკუთრებულმა სიყვარულმა ამ შემოქმედისადმი, შესანიშნავი მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი რომ შეაქმნევინა დრამატული ბიოგრაფიის ამ რუს მწერალზე: „კოლიმგრაფი“ — არსებითად ვრცელი მოთხრობა საკონცენტრაციო ბანაკზე, რომლის ბინადრობაც დიდხანს მოუწევდა შალამოვს, ალექსანდრ სოლჟენიცინისაგან განსხვავებით, თავის ბედში მყოფ ქართველებს განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით რომ წარმოსახავდა.

გარდა ესთეტიკური სიახლოვისა, ეს გარემოებაც შეაგულიანებდა ელგუჯა თავბერიძეს „კოლიმგრაფის“ შესაქმნელად... ამასობაში კი ქუთაისური ამბების მესამე წიგნიც მზადდება, მასალა კი უკვე იმდენი აქვს დაგროვებული, მეოთხესაც გასწვდება და მეხუთესაც...

და ამ ფონზე უეცრად ეს პატარა წიგნი, ბილინგვური: ქართულ და პოლონურ ენებზე, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრის მიერ მომზადებული და გეგა პაქსაშვილის ჩვეული ხელოვნებით გაფორმებული.

არც ერთი ამ ნოველათაგან — გარდა „სერთუკის კალთისა“, მის სტრუქტურას რომ შეადგენს „მე რომ ნარბუტოვი ვიყო“, „ქორის მართვე“ და „ის კონრადობას ნატრობდა“, რომელიც კრებულის საერთო სახელწოდებადაც უნდა შერჩეულიყო — ახალი არ არის, და გამოკრებილია იმ ადრინდელი გამოცემებიდან იმ მოტივით, მათი პერსონაჟები ქუთაისში მცხოვრები პოლონელები რომ არიან, რამდენიმე კაცი იმ ნაკადიდან, რომელნიც — ანოტაციისა არ იყოს — თავისუფლების წყურვილს უმძაფრებდნენ ქართველებს და დააფიქრებდნენ ერთ ბედქვეშ მგმინავი ორი ქვეყნის გამოხსნაზე რუსული ვეშაპისაგან. და ნებისმიერ სფეროში, რომელშიაც მოღვაწეობდნენ, ნერგავდნენ ევროპულ გამოცდილებას, თავიანთი და ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლად არსებობის განცდას, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

ამიტომაც გამოიღებდა თავს პოლონეთის საელჩო, რათა დაეფინანსებინა ამ ნოველების პოლონური თარგმანი, რომელსაც შეასრულებდა კატია ვოლტერსი, ქართული ლიტერატურისა და კულტურის მხურვალე პოპულარიზატორი დასავლეთში, და არა მარტო გერმანულ და პოლონურ ენებზე მთარგმნელი, არამედ თვითონაც ჩინებული მწერალი, რომლის რომანიც — „იერიქონის ვარდი“, ამ რამდენიმე წლის წინათ გამოცემული, დიდ გამოხმაურებას გამოიწვევდა წიგნიერ ქართველობაში.



ის კონრადობას ნატრობდაო...

ეს ვინ აღარ იცის, თუ ვის სულს შეძრავდა ასერიგად ადამ მიცკევიჩის ეპიკური ქმნილება „კონრად ვალენროდი“, ვის აღუნთებდა გულს, ვის მოაჯადოებდა და ვის მოანდომებდა, თვითონაც მთავარსარდალი გამხდარიყო და ასე ეძია შური თავისი სამშობლოს დამცირებისა და შეურაცხყოფისათვის.

იმ აკაკი წერეთელს, რომლის პედაგოგიც — კაზიმირ როძევიჩიც — თურმე ასევე ოცნებობდა კონრადობაზე.

აკაკი სხვა ნოველაშიც უნდა გამოჩენილიყო, საავადმყოფოს გახსნას რომ დაესწრებოდა და გაიგონებდა თუ არა: დიდი ხნის თავსატეხი მოგვარდა და ახალ საავადმყოფოს აყვავებას ვუსურვებთო, — თავს როგორ შეიკავებდა, მაღვალაკურად არ წამოეძახა:

— ცდება ორატორი, როგორ შეიძლება ადამიანმა საავადმყოფოს აყვავება ინატროს, პირიქით, ისე ჯანმრთელები უნდა ვიყოთ, საავადმყოფო სულაც ჩაქრეს, დაცარიელდეს, მუშტარი ვერ ეღირსოს.

ხალხი ახარხარდებოდა, და როდესაც მის ნათქვამს ედუარდ როძევიჩს გადაუთარგმნიდნენ, ამ საავადმყოფოს მშენებლობის ხელმძღვანელს, გაძღოლასაც მასვე რომ ჩააბარებდნენ, ოდნავ ჩაიღიმებდა, მიუბრუნდებოდა აკაკის და ყველას გასაგონად ეტყოდა:

— ექიმებს, ბუნებრივია, გვინდა, ავადმყოფები მრავლად მოვიდნენ, მაგრამ ისიც ძალიან გვსურს, რომელი კარიდანაც მოვლენ, იმავედანვე გაბრუნდნენ და არა იქიდან, — და პატარა შენობაზე მოუთითებდა, რომელიც ეზოში მიცვალებულთა დასასვენებლად აეგოთ.

დაუფასებდა მოსწრებულ პასუხს აკაკი, ღიმილით რომ ჩაილაპარაკებდა:

— ეტყობა, პოლონელი რომაა, მაგათ კაცი სიტყვაზე ვერ დაიჭერს.

ევგენი ნარბუტიც პედაგოგი გახლდათ, მოგზაურობის მოყვარული, 1895 წელს ოდესის მახლობლად გემის ავარიისას რომ დაიღუპებოდა, რადგანაც მაშველ ქამარს ერთ სტუდენტს დაუთმობდა:

— შენ ახალგაზრდა ხარ, ხოლო მე ჩემი წუთისოფელი მოვჭამე.

ამ ჰეროიკული საქციელის გვერდით არანაკლებ დასამახსოვრებელია მისი ეს სიტყვებიც:

— ეჰ, ეჰ, მე რომ ნარბუტოვი ვიყო და არა ნარბუტი, ახლა, ალბათ, სადმე დირექტორი ვიქნებოდი.

გარუსებულ თვისტომთ დასცინოდა, მართლა რაიმეს კი არა ნანობდა, თორემ სანარბუტოვოდ კიდეც წააქეზებდნენ და არაერთ წყალობასაც შეჰპირდებოდნენ.

ჯერჯერობით ოთხი პერსონაჟი გამოირჩეოდა პოლონელთა იმ ნაკადიდან, ქუთაისში რომ მოღვაწეობდნენ: პედაგოგებად, ექიმებად, ინჟინრებად, არქიტექტორებად... — და სასიკეთო კვალსაც დააჩნევდნენ ქალაქის ცხოვრებას, მის ყოფითობას, კულტურას... და თუმც მწერლები არა ყოფილან, ლიტერატურასაც — სწორედ იმ თავისუფლების წყურვილითა და ზოგადი განათლებით, დასავლური კულტურისაგან შეთვისებულით, უშურველად რომ გადასცემდნენ ქუთათურებს და ხელშესახებად აზიარებდნენ ევროპულ სულიერებას იმპერიული კაბალის პირობებში.



და ასე შეიტანდნენ თავიანთ წვლილს იმ დიდ განახლება-მოდერნიზებაშიც ქართული სალიტერატურო პროცესისა, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე რომ მოხდებოდა ქუთაისში და თბილისზეც დიდ ზეგავლენას მოახდენდა.

კიდევ არაერთი პერსონაჟის პორტრეტი აქვს გამოსამზეურებელი ელგუჯა თავბერიძეს პოლონელთა გალერეიდან — ის მასალები, ის ოქროს მარცვლები, მოკრებილ-მოძიებულნი და დადგენილ-დაზუსტებულნი, მისი ხელითვე მოელიან ამეტყველებას, და მომდევნო ბილინგვური კრებული, ქართულ-პოლონური სულიერი ძაფების არსებობის გამომკვეთიც, შემანარჩუნებელიც და განმამტკიცებელიც — გაცილებით მოზრდილი ამიტომაც იქნება.

გულმოდგინე ძიება კვლავაც გრძელდება ამ მიმართულებით, ახალ-ახალი საგულისხმო და მნიშვნელოვანი რეალიებისა და დეტალების მისაგნებად.

და უსათუოდ გაგრძელდება კვალის ძიება, თუ როგორ უნდა მოხვედრილიყვნენ ქუთაისში პოლონელები — ეს ამდენი ადამიანი და ოჯახი.

ესენი უთუოდ ის შერისხული და გადმოსახლებული პოლონელები უნდა იყვნენ, 1831 წლის აჯანყებისათვის რომ დასჯიდა რუსეთის საიმპერატორო კარი და უამრავ მეამბოხესა თუ თანამგრძნობელს მიმოფანტავდა ციმბირისა თუ იმპერიის სხვადასხვა გუბერნიაში, საქართველოშიც, კერძოდ კი, თბილისშიც ბლომად რომ ამოჰყოფდნენ თავს.

ამოჰყოფდნენ და... გულხელდაკრეფილებს რა გააჩერებდათ, ის კი არა, არაერთი მათგანი უშუალო მონაწილეც უნდა გამხდარიყო 1832 წლის აჯანყების მზადებისა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, თანამგრძნობნი ხომ სულაც ყველა.

იმ მონაწილეთ კი ელიზბარ ერისთავი გამოარჩევდათ, არტილერისტებად რომ დაიგულებდა ამბოხების დროშის აფრიალებისას, პირადად რომ უხელმძღვანელებდათ, როგორც საერთოკავკასიური აჯანყების მთავარსარდალი...

გაცემა საიდუმლო ორგანიზაციისა ახალ რეპრესია-შევიწროებას დაატეხდა თავს პოლონელებს, თბილისიდან გამოქცეულები ქუთაისს რომ შეაფარებდნენ თავს და იქ მოითქვამდნენ სულს, რათა კვლავაც დაუმცხრალად ეღვივებინათ და ეღვივებინათ ქართველობაში სახელმწიფოებრიობის აღდგენის წყურვილი... და დასავლეთისკენაც გაეხედებინათ...

ამ კვალის გამოვლენა ცალკე რკალს მოიყოლებს ნოველებისას, საბოლოოდ ერთ მთლიანობად რომ წარმოდგება ელგუჯა თავბერიძის ქუთაისურ ამბავთა ქრონიკების პოლონური ციკლი, დამშვენებული იმ სახიერი, შთამბეჭდავი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტებით, სხვა ყველაფერთან ერთად კონრად ვალენროდობასაც რომ განატრებინებს აკაკი წერეთლის კვალობაზე...

და განატრებინებს, რადგანაც ასეთი თავდადებით მივისწრაფით სრულფასოვანი სახელმწიფოს შესაქმნელად და მსოფლიო საზოგადოებრივ-კულტურულ პროცესებში ჩვენი ღირსების შესაფერისი კვალის აღსაბეჭდად.

როსტომ ჩხეიძე

„საქმემან შენმან“...

ვახტანგ წივწივაძე -70

ვახტანგ წივწივაძე – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დამფუძნებელი და კანცლერი 70 წლის შესრულდა!

ყოველი ადამიანის ცხოვრება განიზომება არა წლებით, არამედ იმ საქმეებითა და სიკეთით, რაც სიცოცხლის მანძილზე უკეთებია და დაუთესავს.

ვახტანგ წივწივაძეს სწორედ „საქმენი მისნი წარმოაჩენენ!“

დაიბადა ქალაქ ხონში 1949 წლის 8 ივნისს!

ოქროს მედალზე დაასრულა ხონის მე-3 სკოლა!

სკოლას სტუდენტობა მოჰყვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიისა და კვების ტექნოლოგიების ფაკულტეტზე!

გზა ხონიდან რუსთავის მეტალურგიულ ქარხნამდე, სადაც ის ინჟინერ-ტექნოლოგად მუშაობდა, რთულიც იყო და წინააღმდეგობებით სავსეც... თუმცა, წინ კიდევ უფრო საინტერესო და დაქსაქსული გზები ელოდა!

ხონის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივნობა (1975)...

ხონის სახალხო კონტროლის თავმჯდომარეობა... (1983)...

ხონის პარტიის რაიკომის მეორე მდივნობა (1985)...

1990 წლის 13 მაისს კი საკუთარი განცხადების საფუძველზე შეწყვიტა პარტიული საქმიანობა და მოსკოვში წავიდა აშშ-ის არკანზასის შტატის „პი-ენ-ენ ოილის“ მოსკოვის ფილიალის ხელმძღვანელად.

საქართველოში დაბრუნებული ვახტანგ წივწივაძე 1990-1994 წლებში იყო შპს ფირმა „პროგრესის“ დირექტორი;

1996 წლიდან თავმჯდომარეობდა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ბიზნესისა და საინვესტიციო პოლიტიკის დეპარტამენტს.

2005 წლიდან კი სათავეში ჩაუდგა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

24 წელიწადში უნივერსიტეტი ერთ-ერთ გამორჩეულ საგანმანათლებლო სივრცედ იქცა საქართველოში: 24 სტუდენტიდან 7400-მდე.... რამდენიმე თანამოაზრიდან 400-მდე მეცნიერ-თანამშრომლამდე...

თუმცა, მხოლოდ უნივერსიტეტი არასდროს ყოფილა ვახტანგ წივწივაძისთვის ზრუნვის საგანი.

„საქმენი მისნი“ გაცილებით დიდია და მრავლისმომცველი!

უამრავი ადამიანი, რომლისთვისაც მას სასიცოცხლო დახმარება გაუწევია!

სიკეთე, რომლისთვისაც სანაცვლო არასდროს მოუთხოვია, რადგან ესაა მისი სახარებისეული პრინციპი: „ხოლო, როცა შენ გასცემ მოწყალებას, დაე, ნუ ეცოდინება შენს მარცხენა ხელს, რას აკეთებს მარჯვენა“...

მისმა მარჯვენამ კი მონაწილეობა მიიღო სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაში!

ააშენა წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის სამონასტრო კომპლექსი ძამას ხეობაში!

მონაწილეობდა ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების საქართველოში ჩამობრძანების საქმეში.

დადგა მოსე ხონელის ბრინჯაოს ბიუსტი ხონში...

მეცენატობა გაუწია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოსა“ და გაზეთ „ხონელს“...

და კიდევ ვინ იცის, რამდენი და როგორი „ჩუმი“ სიკეთე „ჩაუდენია“ ხონის საპატიო მოქალაქესა და აზერბაიჯანის ოდლარ იურდუს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მარჯვენა ხელს მაშინ, როცა მისმა მარცხენამ ეს არ იცოდა...

დღეს კი ვახტანგ წივწივაძე – 2 შვილის მამა და 5 შვილიშვილის ბაბუა, არაჩვეულებრივი მეუღლე და მეცენატი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დამფუძნებელი და კანცლერი – იუბილარია!

70 წელი ახალი გზების დასაწყისია!

წინ კვლავაც ბევრი საქმეა! საქმე, რომელიც არაერთხელ წარმოაჩენს ვახტანგ წივწივაძეს!

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორატი, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია.

„დოლარი გაძვირდა და კიდევ შეიძლება გაძვირდეს, მაგრამ ხალხი არ აგყვებათ“

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დებატებისას მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ისაუბრეს. თავისუფალი დემოკრატების კანდიდატმა შალვა შავგულიძემ ლადო კახაძეს ჰკითხა, ქართული ოცნების ხელისუფლებაში ყოფნის და ლარის გაუფასურების პირობებში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა თუ არა, რაზეც ლადო კახაძემ უპასუხა, რომ დოლარი გაძვირდა და კიდევ შეიძლება გაძვირდეს: **„თქვენ გინდათ, გაამძაფროთ მდგომარეობა, ლარი დაეცა, უბედურება მოხდა, არ ჭამს ამას მოსახლეობა, იცის, რომ ეს ქვეყანას კიდევ ემუქრება, ასეთი ტალღები კიდევ იქნება, თქვენ როგორ გგონიათ ირანის თემის გაღვიძება, ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირება...**

ალბათ გაუჭირდათ, შეიძლება კიდევ გაუჭირდეთ... ...შალვა შავგულიძემ თქვა – ლადო კახაძე არ ამბობს, რომ გაძვირდა დოლარიო. ლადო კახაძემ უარესი გითხრათ, რომ გაძვირდა და კიდევ შეიძლება გაძვირდეს, პანიკა და ასეთი აჟიოტაჟი, რომელიც პოლიტიკურ ისტებლიშმენტს სჭირდება თქვენსას, აღარ განმეორდება. ხალხი არ აგყვებათ, ხომ ხედავთ, არ წამოგყვათ ასეთ თემებზე“ – განაცხადა ლადო კახაძემ.

თბილისი THRILLIST-ის სამოგზაურო სიაში

18 მშვენიერი ევროპული ქალაქი, რომელსაც ახლავე უნდა ეწვიო, ამ სათაურით პოპულარული ტურისტული გამოცემა Thrillist სტატიას აქვეყნებს. ბერლინის, პრაღის, კრაკოვის, ტალინის, ზაგრების და სხვა ევროპული ქალაქების პარალელურად გამოცემა მკითხველს საქართველოს დედაქალაქში მოგზაურობას ურჩევს.

Thrillist-ის ჟურნალისტმა საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით იმოგზაურა.

„ახალი ავიარეისების დანიშვნის შემდეგ კავკასიის გულში მოხვედრა გამარტივდა. თბილისში შეგიძლიათ უგემრიელესი კერძები დააგემოვნოთ და კულინარიული გამოცდილება მიიღოთ.

რატომ უნდა წახვიდეთ თბილისში? აქ თქვენ ნახავთ ფერადაივნიან სახლებს, გოგირდის ბუნებრივ აბანოებს, საბაგიროთი შეგიძლიათ ახვიდეთ მე-13 საუკუნის ციხე-სიმაგრეზე, ასევე ეწვიოთ ღამის კლუბებს, რომელიც ბერლინსაც შეშურდება. გაზაფხულიდან თბილისში უკვე დაფრინავს Air France და როგორც ამბობენ, მალე დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია Raynair-იც დაემატება, რომელიც კიდევ უფრო გაამარტივებს კავკასიის გულში მოგზაურობას“, – წერს Thrillist-ის ჟურნალისტი ბენჯამინ კემპერი. გამოცემა Thrillist-ს 20 მილიონზე მეტი მკითხველი ჰყავს და სოციალურ ქსელებში ნომერ პირველი სამოგზაურო გვერდად არის მიჩნეული.

რუსეთიდან დეპორტირებულთა საქმე დაკმაყოფილდა

ნამდვილად არ მაქვს განსაკუთრებული მოლოდინი, რომ ხვალ სხვა ხასიათზე გაიღვიძებს რუსეთის პრეზიდენტი, მაგრამ ვფიქრობ, ყველა ბერკეტი უნდა იყოს გამოყენებული, რომ სასამართლომ პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს და აღსრულდეს მისი გადაწყვეტილება, – ასე ეხმაურება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებას, რომელმაც „რუსეთიდან დეპორტირებულთა საქმეზე“ საქართველოს მოთხოვნა დაკმაყოფილა.

„სამწუხაროდ, სამთვიან ვადაში რუსეთის ფედერაციამ ის ვალდებულება, რომელიც მას სასამართლომ დააკისრა კომპენსაციის გადახდის სახით, არ შეასრულა. მან არ შეასრულა არაერთი სხვა საერთაშორისო ვალდებულებაც, მათ შორის სამართლებრივი. ახლა სასამართლო იყენებს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს და უკვე ქართული მხარის თხოვნით მისცა მსვლელობა საქმეს, ჩანიშნა დებატები უახლოეს სხდომაზე.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა სივრცეში, მათ შორის სამართლებრივში, პოლიტიკურსა და დიპლომატიურში, ის საკითხები, რომლებიც აქტუალურია და უკავშირდება ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს, ამ შემთხვევაში, დეპორტირებულების საქმეს, იყოს ყველა პლატფორმაზე დაყენებული. მნიშვნელოვანია, გამოყენებული იყოს აბსოლუტურად ყველა ბერკეტი, რადგან რუსეთი არღვევს ნორმებს.

საქართველომ, საერთაშორისო თანამეგობრობამ და სამართლებრივმა ინსტიტუტებმა უნდა გასცენ პასუხი, რომ ასეთი დარღვევები მიუღებელია“, – აღნიშნა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა გაიზიარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პოზიცია და უახლოეს სხდომაზე გაძლიერებული ზედამხედველობის პროცედურით განიხილავს რუსეთიდან დეპორტირებულების საქმეს.

რუსეთი უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს საქართველოში

დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის ოფისის ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის შესახებ 2018 წლის ანგარიშში საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე მდგომარეობა აისახა – ინფორმაციას ამის შესახებ, საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს:

„2018 წელს აღინიშნა საქართველო-რუსეთის კონფლიქტის ათი წლისთავი. რუსეთის გავლენა საქართველოს რეგიონებში – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში კვლავაც ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დარღვევას, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა დაშინებას. კვლავ გრძელდება გადასასვლელი პუნქტების უმეტესობის დახურვა, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მავთულხლართების აღმართვა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა. კვლავ გამოწვევად რჩება მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, ჯანდაცვისა და საკუთრებაზე ხელმისაწვდომობა. ამავდროულად არსებობს მონაცემები აფხაზეთის რეგიონში ეთნიკური ქართველების მიმართ დოკუმენტების მოპოვებასთან დაკავშირებით დისკრიმინაციის ფაქტების თაობაზე. გაერთიანებული სამეფო გამოხატავს მხარდაჭერას საქართველოს მიერ გაეროს გენერალურ ასამბლეასა და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში ინიცირებული რეზოლუციების მიმართ“.

ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის ოფიციალური პრეზენტაცია თანამეგობრობისა და გაეროს საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ლორდ აჰმად უიმბლდონის მიერ 6 ივნისს ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის ოფისში გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის ოფისის ანგარიშში პირველად 2016 წელს მოხვდა, გაერთიანებულ სამეფოს საგარეო უწყებასთან და პარლამენტთან საქართველოს საელჩოს აქტიური თანამშრომლობისა და ძალისხმევის შედეგად“ – აღნიშნულია საგარეოს უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რას უპირისპირებს ნატო რუსეთის ბირთვულ საფრთხეს?

სტრატეგია 4 პუნქტად

რუსეთი და ნატო მუდმივად საუბრობენ დიალოგის აუცილებლობაზე. თუმცა ეს – სიტყვით. საქმით კი მხარეები მუდმივად ცვლიან ურთიერთბრალდებებს აგრესიულ მოქმედებაში და ახალ-ახალ საპასუხო ნაბიჯებს იგონებენ. „პასუხის პასუხების“ პირამიდა უკვე იმდენად მაღალია, რომ კითხვამ „ვინ დაიწყო პირველმა?“ აზრი დაკარგა. ამ დაპირისპირების ახალ ეტაპზე ნატომ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი შეიმუშავა. სამხედრო წვრთნები რუსეთის საზღვრის უშუალო სიახლოვეს – ეს ამ სტრატეგიის მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილია.

3 ივნისს კალინინგრადის ოლქიდან სულ რაღაც 60 კმ-ში ნატოს ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლება „Tobruq Legacy-19“ დაიწყო. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 19 წევრი ქვეყნის სამხედროები პოლონეთის ტერიტორიაზე რაკეტსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვით ღონისძიებებში წვრთნებს გადიან. ამავდროულად ნატო კიდევ რამდენიმე სწავლებას მართავს აღმოსავლეთ ევროპაში: ლატვიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთსა და ბალტიის ზღვაში.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წვრთნები დიდი ხნის წინაა დაგეგმილი, ისინი ალიანსის სამხედრო სტრატეგიის ცვლილების ფონზე იმართება. და ეს ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პირველად მოხდა. როგორც ნატოში აცხადებენ, ყირიმის მოვლენებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ რუსეთის შეკავება განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. ამ მიზნით ალიანსში 4-პუნქტიანი სტრატეგია შეიმუშავეს.

1. მოსკოვზე ზეწოლის გაძლიერება სანქციებითა და ბაზებით

უპირველესად, საუბარია პოლიტიკურ ზეწოლაზე, ანუ სანქციებზე. ევროკავშირში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების როგორც მიზანშეწონილობაზე, ისე ეფექტურობაზე, ამიტომაც ნატო დიდი მონდომებით უჭერს მხარს იმას, რომ სანქციების შენარჩუნება ხერხდება.

ამ პუნქტის კიდევ ერთი შემადგენელი მოკავშირეების თავდაცვის გაძლიერებაა. მაგალითად, ალიანსმა გააძლიერა თავისი მუდმივი კონტინგენტი რუმინეთში, ხოლო რუმინულ ქალაქ ოტოპენში ახლახან დასრულდა ნატოს წვრთნები კომუნიკაციებისა და ინფორმატიკის მიმართულებით. გარდა ამისა, ალიანსი აგრძელებს უკრაინისა და საქართველოს დახმარებას.

ეს ყველაფერი, როგორც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მიიჩნევენ, ზრდის მოსკოვზე ფსიქოლოგიურ გავლენას და აძლიერებს ნატოს პოზიციებს ევროპაში.

„ნატოს რაიმე მსხვილი მილიტარიზაციის პროცესი არ დაუწყია. არსებობს გარემოებები, რომელიც რუსეთის ქმედებების გამო შეიქმნა. ნატო კოლექტიური თავდაცვითაა დაკავებული და ზუსტად იმას აკეთებს, რასაც მისგან მოკავშირეები ელიან“ – აცხადებს ნატოს მრჩეველი რუსეთის საკითხებში რობერტ პშელი.

ამასთან, ალიანსის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ რუსეთის იზოლირებას არ ისურვებდნენ. როგორც ბრიუსელში აღნიშნავენ, ალიანსის ოთხი ბატალიონი აღმოსავლეთ ევროპაში ვერც რიცხოვნობით, ვერც შეიარაღებით ვერ შეედრება იმ სამ დივიზიას, რომელიც მოსკოვმა რუსეთის სამხრეთ და დასავლეთ ოლქებში ნატოს ქმედებების საპასუხოდ განათავსა.

2. გამაგრება შავ ზღვაში: „იგი ერთ ქვეყანას არ ეკუთვნის“

ნატოს ახალი სტრატეგიის მეორე პუნქტის არსი შავ ზღვაში წარმოდგენილობის ზრდაში მდგომარეობს. საუბარია თვითმფრინავების, ფრეგატების, საესკადრო ნაღმოსნებისა და სხვა საბრძოლო გემების პატრულირებაზე.

სულ რამდენიმე წლის წინათ ალიანსი შავი ზღვის რეგიონს სტაბილურად მიიჩნევდა. მაშინ პრიორიტეტული ბალტიის ზღვაში არსებული ვითარება იყო. თუმცა ბოლო წლების მოვლენებმა (მაგალითად, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ) აიძულა ნატო, პრიორიტეტებისთვის გადაეხედა და ბალტიის რეგიონმა მეორე მწკრივში გადაინაცვლა. ნატოს წარმომადგენლები აღიარებენ, რომ მსგავსი ვითარება სულ მცირე, რამდენიმე წლის განმავლობაში შენარჩუნდება.

შავ ზღვაში ნატოს ბოლო წვრთნები „ზღვის ფარი“ არა მარტო უკრაინის დახმარების პაკეტის ნაწილია, არამედ საშუალება, ნატომ შავ ზღვაში არსებული ვითარების შესახებ ინფორმირებულობა აიმაღლოს. რუსეთმა რეაგირება ოპერატიულად მოახდინა. უპირველესად, ფედერაციის საბჭომ განაცხადა, რომ „უკრაინული გემების მიერ ქერჩის სრუტეში გავლის პროცედურების დარღვევა რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის საფრთხეს ქმნის“. **„უკრაინის მცდელობები, ამ პროცედურების გვერდის ავლით იმოქმედოს, შეიცავს უკრაინასა და რუსეთის ფედერაციას შორის სამხედრო კონფლიქტის წარმოშობის რისკებს, რომელშიც ნატოც იქნება ჩათრეული“,** – ნათქვამია განცხადების ტექსტში.

თუმცა რუსეთის პასუხი სიტყვებით არ შემოფარგლულა. ნატოს კვალდაკვალ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გემებმა შავ ზღვაში საბრძოლო წვრთნები ჩაატარეს, ხოლო საზღვაო ავიაციის ვერტმფრენებმა "პირობითი მტრის დარტყმიდან ძალების გაყვანის" ღონისძიებები დაამუშავეს.

უკრაინული დაზვერვის მთავარი სამმართველოს წარმომადგენელი ვადიმ სკიბიცკი თვლის, რომ ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების ფლოტისა და შავ ზღვაში ნატოს ჯგუფის წინაშე არსებული ერთ-ერთი გამოწვევაა შესაძლო პროვოკაცია ან გარკვეული ინციდენტი წვრთნების მსვლელობისას, რომელსაც შესაძლოა, სამხედრო კონფლიქტი მოჰყვეს. **„რა თქმა უნდა, ეს საფრთხეა უკრაინული მხარისათვის“,** – აღნიშნავს სკიბიცკი. ნატოს ჩინოსნები შეშფოთებასა და გაღიზიანებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ წვრთნების მსვლელობისას რუსეთი „ალიანსის ქვეყნებზე ბირთვული შეტევის სიმულირებას ახდენს“.

3. მოკავშირეების დახმარების პაკეტები: „ეს „ევროვიზია“ არ არის“

პრიორიტეტული კვლავ უკრაინა და საქართველოა. ერთობლივი წვრთნები საქართველოსთვის არის შესაძლებლობა, დაუახლოვდეს ნატოს, რომლისკენაც იგი დიდი ხანია, ისწრაფვის. ხელისუფლების ოფიციალურ პირებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ალიანსში ინტეგრაცია ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიაა.

ნატოსთან ბოლო ერთობლივი წვრთნები საქართველოში მიმდინარე წლის მარტში ჩატარდა. ქვეყნის ხელმძღვანელობამ ტრადიციულად აღნიშნა, რომ წვრთნები არ არის მიმართული არც ერთი მესამე ქვეყნის წინააღმდეგ. ამავდროულად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ამ წვრთნების ერთ-ერთი მიზანია, ნატოს არაწევრ ქვეყნებში საფრთხეებზე რეაგირების მზადყოფნის შემოწმება.

რაც შეეხება უკრაინას, აქ საუბარია როგორც სპეცსამსახურების დონეზე ურთიერთქმედებაზე, ისე სამხედრო-საზღვაო ძალების გაძლიერებაზე – ამ სფეროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ყირიმის დაკარგვის გამო, სადაც უკრაინის სამხედრო ფლოტის დიდი ნაწილი იყო ბაზირებული. სულ ნატოს დახმარების გეგმაში 40 პუნქტია გაწერილი, რომლის მიხედვითაც კიევს დახმარება გაეწევა.

თუმცა უკრაინის დახმარების პაკეტი ქვეყნის წინა პრეზიდენტის დროს დამტკიცდა. შეიცვლება თუ არა კიევისა და ნატოს ურთიერთობები ვოლოდიმირ ზელენსკის პირობებში? თავად პრეზიდენტმა შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან ამასწინანდელ შეხვედრაზე დაუდასტურა კოლეგებს, რომ უკრაინა ნატოსთან ინტეგრაციის პოლიტიკის წარმოებას გააგრძელებს. თუმცა ზოგიერთი ექსპერტი ზელენსკის პირველი საჯარო განცხადებების ანალიზის შედეგად მიდიან დასკვნამდე, რომ იგი წინამორბედთან შედარებით, შესაძლოა, ნაკლებ დაჟინებული და თანამიმდევრული იყოს ბრიუსელთან დიალოგში.

„ჩვენ აქ „ევროვიზია“ კი არ გვაქვს, რომ ქულები ვწეროთ. უკრაინაში თავისუფალი არჩევნები ჩატარდა, ხალხმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. ნატოს გენერალური მდივანი უკვე ესაუბრა ტელეფონით ზელენსკის. და ჩვენი ზრახვები უკრაინასთან მიმართებაში არანაირად არ შეცვლილა, – დაადასტურა პშელმა. – უნდა ვაღიაროთ, რომ კიევი რთულ მდგომარეობაშია. არსებობს კონფლიქტი, რომელიც უკრაინას არ დაუწყია. ადამიანები დღემდე იღუპებიან. ზელენსკის წარმატებას ვუსურვებთ და მზად ვართ მასთან თანამშრომლობისთვის“.

4. წინააღმდეგობა კიბერსაფრთხეებს: 6 წუთი გადაწყვეტილებისთვის

კიბერშეტევით მიყენებული ზიანი რეალური სამხედრო დარტყმის ტოლფასია, თვლიან ნატოში. ერთ ასეთ შეტევას ძალუძს, ეკონომიკას მილიარდობით დოლარის ოდენობის ზარალი მიაყენოს, კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის პარალიზება გამოიწვიოს და უმსხვილესი კომპანიების მუშაობა შეაჩეროს.

„ნატოს ამ მხრივ იმუნიტეტი არ გააჩნია. ყოველდღიურად ვარეგისტრირებთ საეჭვო ქმედებებს, რომელიც ალიანსის კიბერსისტემების წინააღმდეგაა მიმართული. ახალი ტექნოლოგიების – ხელოვნური ინტელექტის, ავტომატური სწავლებისა და ღრმა „ფეიქების“ განვითარებასთან ერთად, კიბერშეტევები კიდევ უფრო საშიში გახდება“, – განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. ასე გაუთანაბრეს კიბერსივრცე მიწას, ზღვასა და ჰაერს.

კიბერსაფრთხეების აღრიცხვით კიბეროპერაციების სპეციალური ცენტრია დაკავებული, თუმცა სრული ძალით იგი მხოლოდ 2023 წელს ამოქმედდება.

რუსულმა მხარემ მაშინ განაცხადა, რომ ტექნიკა, რომელიც რუსეთის დაკავებულ მოქალაქეებს აღმოუჩინეს, **„გამიზნული იყო საელჩოს საინფორმაციო სისტემების ტესტირებაზე კომპიუტერული ქსელების დაცულობის ანალიზისთვის, რაც რუსულ სახელმწიფო უწყებებში კიბერშეღწევების შემთხვევების გახშირებით იყო გამოწვეული“.**

ბრიტანეთი, ისევე, როგორც ნატოს სხვა წევრები, საკუთარ სტატისტიკას აწარმოებს. ამ თემაზე თავის ბოლო განცხადებაში ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯერემი ჰანტმა პირდაპირ დაადანაშაულა რუსეთი კიბერშეტევების ორგანიზებაში.

„ჩვენი გათვლით, რუსეთის სადაზვერვო სამსახურები არაერთი ქვეყნის კრიტიკულად მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინფრასტრუქტურების მოწყვლადობის ძიებაში არიან. ამ გლობალური კამპანიის ფარგლებში ისინი ასევე ისწრაფვიან, მოიპოვონ წვდომა ცენტრალურ სამთავრობო სისტემებზე. ბოლო 18 თვის განმავლობაში კიბერუსაფრთხოების ეროვნულმა ცენტრმა ჩვენს 16 მოკავშირეს ნატოში და ალიანსის არაწევრ კიდევ უფრო მეტ ქვეყანას მიაწოდა ინფორმაცია მათ ტერიტორიებზე რუსეთის კიბერაქტიურობის შესახებ“, – განაცხადა ჰანტმა და დასძინა, რომ ნატოს ქვეყნებისთვის აუცილებელია, ერთობლივად შეეწინააღმდეგონ რუსულ კამპანიას მთელ მსოფლიოში კიბერშეტევების განხორციელების მიმართულებით. რუსეთში საპასუხოდ განაცხადეს, რომ „ფორინ-ოფისის უფროსი ჩვეულ მტრულ ანტირუსულ რიტორიკას დაუბრუნდა, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს“.

ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ალიანსმა კიბერსაფრთხეებს სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს. მეტიც, მისი აზრით, ნატოს კიბეროპერაციების ცენტრი სრული ძალით 2023 წლამდეც უნდა ამოქმედდეს. **„უნდა ვიჩქაროთ და ამ ქვედანაყოფის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად უფრო დიდი უნდა იყოს. ამასთანავე, ნატოს სარდლობას უნდა მივანიჭოთ უფლება, გასცეს თავდაცვითი კიბერშეიარაღების გამოყენების ბრძანება გარედან შემოტევის საპასუხოდ“,** – განუცხადა მან BBC-ს.

ყოფილი გენერალური მდივანი თვლის, რომ ნატო უნდა დაფიქრდეს ელექტრონულ დაზვერვაზეც, რათა ახალ საფრთხეებს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს და, როგორც შედეგი, უფრო სწრაფად შეძლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება.

გემები ერთმანეთს სახიფათოდ მიუახლოვდნენ

აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის სამხედრო ხომალდები ერთმანეთს 50 მეტრით მიუახლოვდნენ.

რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტში აცხადებენ, რომ ამერიკული სამხედრო ხომალდი „ჩანსელორსვილი“, რუსულ გემს, „ადმირალ ვინოგრადოვს“ სახიფათო მანძილზე მიუახლოვდა, რის გამოც რუსულ გემს სახიფათო მანევრის შესრულება მოუწია.

რუსეთის ბრალდებებს პროპაგანდას უწოდებს აშშ-ის მეშვიდე ფლოტი. ფლოტის მეთაურის კლეიტონდოსის განცხადებით, რუსებმა არაპროფესიონალურად იმოქმედეს, რის გამოც ამერიკულმა ხომალდმა სახიფათო მანევრი შეასრულა.

„ᲐᲛᲑᲐᲕᲡ ᲐᲕᲬᲔᲠ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲡᲐ...“

„პერსონალური გამოფენა – „ამბავს ავწერ ადრინდელსა“. მხატვარი ქეთევან ყუბანეიშვილი. მხოლოდ ერთი დღე“, – ხელოვანის სამყაროში რომ გადასახლდე, ზოგჯერ საუკუნეებია საჭირო, ზოგჯერ ერთი დღე, ზოგჯერ – თვალის ერთი შევლება. ეს მეტად მოკლე წამძღვარებაც ბევრს იტევს – მხოლოდ ერთი დღე, პეპლის სიცოცხლე, ერთი ნახვით შეყვარება, წამიერი გრძნობა და... დამთავრდა ვითომ? ჩაიარა ყველაფერმა?

ვისთვის, როგორ...

მე ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ნანახ, ახლა ჩემს სამუშაო ოთახში ფოტორეპროდუქციად გამოფენილ „წითელ ხარს“ ვერ ველევი. ორი წლის წინანდელი ეს უცნაური გრძნობა თბილისის საკრებულოს ისტორიულ შენობაში, „თამარ მეფის დარბაზში“, ქეთის პირველ პერსონალურ გამოფენაზე დამეუფლა და დღემდე მომყვება. „ერთი დღე“ უძახე... დღე, რომელმაც შეიძლება სრულიად შეცვალოს ადამიანის ცხოვრება. მაშინ გამოფენას, რომელსაც პროფესიონალმა ხელოვნებათმცოდნეებმა, მხატვრებმა და მხატვრობის მოყვარულებმა, მართლაც დიდი შეფასება მისცეს – **„უსიტყვო პოეზია“** ერქვა. ყველაფერი შვილიშვილისთვის ნაყიდი საღებავებითა და სახატავი ფურცლებით დაიწყო – პირველი შტრიხები, პირველი მონახაზი და... იქცა უსიტყვო პოეზიად. თითოეული აბსტრაქტული ნახატი პოეზიაა, ლექსი, რაღაც არაამქვეყნიური და თითქოს ყველასთვის ისეთი ახლობელია, რომელიც გათქმევინებს – რა მარტივია, მეც ხომ შევძლებო, მაგრამ თუ ბიჭი ხარ, შეძელი... ამას სულის ამბოხი, პოეტურობა, ენერგიის ამოფრქვევა, საკუთარი ცხოვრების ლექსად გადმოცემა უნდა. ქეთომ ეს შეძლო.

ექიმების ოჯახში გაზრდილს ხატვა ბავშვობიდან იტაცებდა, მაგრამ არც მხატვრობა აურჩევია პროფესიად, არც ექიმობა. წერდა მშვენიერ ლექსებს, თარგმნიდა ცნობილ პოეტებს, არცთუ ურიგოდ, იყო სევდიანი და მხიარული, თითქოს უბედო და საოცრად ბედნიერი, მარტოსული და მეგობრებით, მოსიყვარულე ადამიანების ყურადღებითა და სიყვარულით განებივრებული, ძალიან ახალგაზრდა დედა, ძალიან ახალგაზრდა ბებია, მაგრამ ის რასაც ელოდა, მოულოდნელად და მოგვიანებით მოვარდა და შეცვალა მისი ცხოვრება.

ახლა მისი მეორე პერსონალური გამოფენის სტუმრები ვართ. კვლავაც საოცრება, სრულიად განსხვავებული ორი წლის წინანდელი პოეტური სამყაროსგან, გინდაც „უსიტყვო პოეზიისგან“. აქაც მოულოდნელობამ იფეთქა – პატარა კახის სათამაშო ცხენის, ქართულად რომ იტყვიან „კუკუნა“, გინდაც ბავშვთა გასართობი სათამაშოს ხილვამ ცხოველთა თემის ინსპირაციამდე მიიყვანა. უხსოვარ დროს, პირველი მხატვრის მიერ გამოქვაბულის კედლებზე შემორჩენილი ნახატების სტილით შეიქმნა „ტახი“, „ბიზონი“ და ათასგვარი ფრესკა-ნახატი – პირველყოფილი სიმარტივიდან, მის უდიდებულესობა ხელოვნებამდე.

სიყვარულსაც ვერ აუარა გვერდი, ვერ უგანა, აქაც ბესიკის პოეზიამ უსალბუნა თავისი „ტანო-ტატანოთი“, შეაზავა თავის ნახატებთან და აქცია **„ამბავს ავწერ ადრინდელსად“**.

სულ ერთი დღე ტკბებოდნენ მისი ხელოვნების მოყვარულნი ამ საოცრებით. რაღა დასამალია და მანამდე ინტერნეტსივრცეში, რუსთაველის პროსპექტზე, ზურაბ წერეთლის საგამოფენო სივრცეში გამოფენილი ნახატების უმეტესობა მქონდა ნანახი. მონუსხული ვიყავი, თითქოს ორი წლის წინანდელი „უსიტყვო პოეზია“ დამავიწყეს. ინტერნეტსივრცე ვახსენე და არ მინდა, ქეთის მეორე გატაცებას გვერდი ავუქციო – უამრავი საინტერესო, თითქოსდა მივიწყებული ამბავი, ცნობილ ადამიანთა ცხოვრებიდან შეკრებილი, ლამაზი ქართულით გადმოცემული და ხუთასამდე „პოსტად“ გამოქვეყნებული, თავისი ფოტოებით თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რამდენიმე ენას სრულყოფილად დაუფლებული (ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ) მხატვარი ჩვენი ქვეყნის სტუმრებს გიდობას უწევს, რომლებიც ღვთის წყალობით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მრავლად გვსტუმრობენ. საქართველოს ისტორიის, წარსულისა და თანამედროვეობის, უტყუარი ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ცოდნით „შეიარაღებული“ ქეთი ყუბანეიშვილი ძალისხმევას არ იშურებს, რათა კმაყოფილი გაუშვას ჩვენი ქვეყნის ხილვით ჩამოსული ტურისტი თუ ტურისტთა ჯგუფი. არც ძველ გატაცებას – მთარგმნელობით მუშაობასაც ანებებს თავს. თავისუფალი დრო არ რჩება, მაგრამ, როდესაც საქმე გიყვარს, ყველაფერს ასწრებ.



ყველა მხატვარს თავისი სტილი აქვს, იტყვიან და დავეთანხმები.

იპოვა ქეთი ყუბანეიშვილმა თავისი სტილი?

თუ პირველი ორი გამოფენიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, არა... და ვგონებ, ვერც ვერასოდეს იპოვის, რადგან მისი სტილი პოეზიაა, პოეზია კი მუზასთან ერთად მოდის, მუზა კი როდის და რა სახით გეწვევა, ვინ უწყის და ყველა მომდევნო გამოფენაც ალბათ, ქეთის ხასიათიდან გამომდინარე იქნება – სტილი მელანქოლიური, სტილი ზეაღმატებული, სტილი მარტოობის, სტილი პოეტური, აღმამფრენი და... ვინ მოსთვლის. მთავარი პოეზია და სიყვარულია. ქეთის სტილი კი ერთი ნახვით დასამახსოვრებელი და ერთი ამოსუნთქვით შექმნილი ხელოვნებაა.

„მხოლოდ ერთი დღე“ – მიაწერს აფიშას და ეს ერთი დღე მომდევნო პერსონალურ გამოფენამდე, მომდევნო საოცრებამდე გრძელდება.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲢᲘᲢᲣᲚᲡ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲡ

„WORLD TRAVEL AWARDS“-ᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐᲖᲔ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲞᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲛᲖᲐᲠᲓᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲖᲔᲐ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ. 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲓᲔᲘᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ, ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ �თუ ᲐᲠᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲖᲔ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ �კᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲔᲑᲘᲐ ᲡᲝᲤᲘᲐ (ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ), ᲛᲐᲢᲔᲠᲐ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ), ᲑᲐᲥᲝ (ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ), ᲚᲣᲑᲚᲘᲐᲜᲐ (ᲡᲚᲝᲕᲐ�კᲔᲗᲘ), �კᲣᲢᲜᲐ ᲰᲝᲠᲐ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ), ᲛᲝᲡᲢᲐᲠ (ᲑᲝᲡᲜᲘᲐ-ᲰᲔᲠᲪᲔ�გᲝᲕᲘᲜᲐ) ᲓᲐ ᲓᲔᲠᲘ (ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ). 28 Ა�პᲠᲘᲚᲐᲛᲓᲔ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲛᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲘᲢᲖᲔ https://www.worldtravelawards.com/vote **ᲨᲔᲔᲫᲚᲝ. ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲗᲝᲠᲝᲜᲘᲙᲔ ᲠᲘᲪᲣᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲦᲚᲝᲜᲢᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲔᲡ�წᲠᲔᲑᲘᲐᲜ.**

დაჯილდოებაზე ასობით ნომინაცია და ათასობით ნომინანტი კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით სხვადასხვა კატეგორიებშია გადანაწილებული. მათ შორისაა წამყვანი სასტუმროები, ტურისტული სააგენტოები, ტურისტული ატრაქციები, მიმართულებები, ტუროპერატორები, ასევე საზღვაო, საგზაო, საჰაერო ტრანსპორტის კომპანიები.

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲜᲐ�გᲐᲕᲡᲐᲧᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲛᲔᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, �გᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲑᲐᲠᲪᲮᲐᲜᲘᲡ ᲮᲘᲓᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲜᲐ�გᲐᲕᲡᲐᲧᲠᲔᲚᲔᲑᲖᲔ.

ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ�გᲐᲜ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲘᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲜᲐ�გᲐᲕᲡᲐᲧᲠᲔᲚᲔᲑᲘ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲜᲐ�გᲐᲕᲡᲐᲧᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲛᲔᲜᲓᲐ ᲔᲢᲐ�პᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ, ᲐᲠ ᲓᲐᲧᲐᲠᲝᲜ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲜᲔᲜ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ.

ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘ 150 ᲚᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ �გᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲝᲠᲔᲢᲐ�პᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲔᲑᲐ (ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ – Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐ�გᲐᲛᲝᲪᲓᲝ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲢᲐ�პᲘ – �გᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐ�გᲖᲐᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ), ᲠᲐᲪ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ �გᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘᲡ �გᲐᲖᲠᲓᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ.

კანონპროექტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე დაშვება ხდება 20 ლარი ნაცვლად 40 ლარისა, ამასთან, პრაქტიკული გამოცდა ხდება ორეტაპიანი, თითოეული ეტაპის საფასური დგინდება დამოუკიდებლად. „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე ერთჯერადად დაშვების საფასურია 40 ლარი, მეორე ეტაპზე ერთჯერადად დაშვების - 90 ლარი. „A“, „C“, „D“ „BE“, „CE“, „DE“ კატეგორიის და „A1“, „A2“, „B1“, „C1“, „D1“, „C1E“ და „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე ერთჯერადად დაშვების საფასურია 40 ლარი, მეორე ეტაპზე ერთჯერადად დაშვების საფასური – 150 ლარი.

შესაბამისად, „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებად პირს მოუწევს შემდეგი საფასურის გადახდა თეორიული გამოცდა 20 ლარის, პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი - 40 ლარი და პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის - 90 ლარის გადახდა.

◎ წინ, საქართველოვ!

ირაკლი ჩხეიძე მსოფლიოს ჩემპიონია!

ძართველი ძალოსანი ირაკლი ჩხეიძე (102 კგ.) ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულია! ეს ფიჯის დედაქალაქ სუვაში მოხდა, სადაც პლანეტის უმთავრესი შეჯიბრება 1 ივნისიდან მიმდინარეობს.

ჩხეიძემ ატაცში 162 კგ. მე-2 ცდაზე დაძლია, შემდეგ კი 167 კგ-საც გაუმკლავდა და ბელარუსი არლიონაკის (169 კგ.) კვალად პირველ მოძრაობაში მცირე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. სამაგიეროდ, ირაკლი შეუდარებელი იყო აკვრაში, სადაც პირველობა უკვე საწყისი 2 ცდით (199 და 204 კგ.) გაინაღდა. ქართველმა ძალოსანმა დასკვნით ცდაზე 213 კგ. ვერ აკრა, თუმცა, ჯამური ოქროს მედალი უკვე ჯიბეში ჰქონდა.

საბოლოოდ ჩხეიძემ ორჭიდში თავი 371 კგ-ს მოუყარა და ხსენებულ არლიონაკს 1 კგ-ით გაუსწრო, „ბრინჯაო" კი ირანელმა აზიზიმ (360 კგ.) დაიმსახურა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო პირველობის სტარტზე ბრინჯაოს მედალი არჩილ მალაყმაძემ (73 კგ.) მოიპოვა, დღეს კი ფიცარნაგზე საქართველოს ნაკრების ბოლო წევრი თორნიკე ტაბატაძე (+109 კგ.) გავა.

კობა კობახიძე

◎ ჭადრაკი

ძაგნიძემ ისევ წააგო

ძართველი მოჭადრაკე ნანა ძაგნიძე (2510) რუსეთის ქალაქ ყაზანში მიმდინარე პრეტენდენტთა განახლებული ტურნირის 4 ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გახლდათ, უკანასკნელ ორ პარტიაში კი მარცხი განიცადა და სიტუაცია გაირთულა.

მე-6 ტურში ძაგნიძემ თეთრი ფიგურებით რუს ალექსანდრა გორიაჩკინასთან (2522) წააგო და მას კიდევ უფრო ჩამორჩა. გორიაჩკინა 5 ქულით დაწინაურდა, ძაგნიძე და კიდევ ერთი რუსი ეკატერინა ლაჰნო (2544) კი 3.5-3.5 ქულით მეორე-მესამე პოზიციებს ინაწილებენ.

საინტერესოა, რომ ამ დღეს ყაიმით არცერთი პარტია არ დასრულებულა. ლაჰნომ შავი ფიგურებით ტან ჩჟუნი (ჩინეთი, 2513) დაამარცხა, ანა მუზიჩუკმა (უკრაინა, 2539) თეთრებით ვალენტინა გუნინას (რუსეთი, 2506) მოუგო, მარია მუზიჩუკმა (უკრაინა, 2563) კი ალექსანდრა კოსტენიუკს (რუსეთი, 2546) სძლია.

გუშინ ყაზანში დასვენების დღე იყო, მე-7 ტურის პარტიები კი დღეს ჩატარდება და შემდეგ წყვილებს ვიხილავთ: კოსტენიუკი — ა.მუზიჩუკი, გორიაჩკინა — მ.მუზიჩუკი, ლაჰნო-ძაგნიძე, გუნინა — ჩჟუნი. შეგახსენებთ, რომ პლანეტის 8 უძლიერესი ქალი ერთმანეთს ორ წრედ ეჯიბრება, ხოლო გამარჯვებული მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ცზიუ ვენცზიუნთან (ჩინეთი) ტიტულისთვის თამაშის უფლებას მოიპოვებს.

ასპარეზობის საპრიზო ფონდი 200 000 ევროს შეადგენს, დარჩენილი სათამაშო დღეები კი ასეა გაწერილი: 8-10, 12-14 და 16-17 ივნისი, ტაი-ბრეიკი 18 ივნისს გაიმართება.

გეჟან დოლიძე

◎ კალათბურთი

მარცხით დავასრულეთ

საქართველოს 18 წლამდე 3X3 კალათბურთელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი დაასრულა. ქართველებმა დასანანი მარცხი კვლავ ბოლო წამებზე განიცადეს. მართალია, ჩვენს გუნდს და მის მეტოქე ლატვიასაც ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგული ჰქონდათ, თუმცა, მსოფლიო პირველობის დასკვნით მატჩში ორივე ნაკრები პრესტიჟისთვის თამაშობდა და ბრძოლაც უშეღავათო, საკმაოდ დაძაბული გამოდგა.

ჩვენი გუნდი ძირითადად მდევრის როლში იყო, თუმცა, მეტოქეს უთანაბრდებოდა და რამდენჯერმე წინაც გავიდა. ფრე იყო მატჩის ბოლო წუთზეც, როცა საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე ლატვიელებმა ორქულიანი ჩააგდეს და შეხვედრას სათავისო წერტილი დაუსვეს — 21:19. თამაში შეწყდა, რადგან ბალტიისპირელებმა 21 ქულას მიაღწიეს.

საქართველოს ნაკრებმა, რომლის ღირსებასაც ლაშა მიქელაძე, ირაკლი სულხანიშვილი, ვოვა თავაქარაშვილი და ნიკა ნიკოლაიშვილი იცავდნენ, ულან ბატორში მიმდინარე მსოფლიოს 18-წლამდელთა ჩემპიონატზე ჯგუფში 4 მატჩი გამართა, რომელთაგანაც ბელარუსს სძლია (21:16), ხოლო აშშ-სთან (19:21), მასპინძელ მონღოლეთთან (16:18) და ლატვიასთან (19:21) დამარცხდა. ჯგუფიდან პლეი ოფში 2 საუკეთესო გადიოდა და ეს ადგილები 4-დან 4 მოგებით აშშ-მა და მონღოლეთმა (3-1) დაიკავეს.

საქართველოსა და ჯგუფიდან ვერგასული კიდევ 11 ნაკრებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. მეოთხედფინალისტი გუნდები კი შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

თურქეთი — მონღოლეთი,
არგენტინა — უკრაინა,
რუსეთი — რუმინეთი,
აშშ — იტალია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ხვალ ფინალია!

2019 წლის 9 ივნისი ფეხბურთის ისტორიაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან თარიღად ჩაიწერება — ხვალ პორტუს „დრაგაოს" სტადიონზე 22 საათსა და 45 წუთზე დაიწყება პორტუგალია-ჰოლანდიის ფინალური მატჩი და ახალი ტურნირის — ერთა თასის პირველი ჩემპიონის ვინაობასაც შეიტყობთ.

მასპინძელთა საქმენი საგმირონის შესახებ უკვე ინფორმირებულნი ბრძანდებით, ამიტომ ამჯერად მათი მომავალი მეტოქის შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ჰოლანდია — ინგლისი 3:1
(დამატებით დროში)
ძირითადი დრო 1:1
„ნარინჯისფერთა" დაცვის უნიჭიერესი ჭაბუკი ბურჯი მათიას დე ლიხტი დებიუტშივე იქცა ანტიგმირად, როცა უხეში შეცდომა დაუშვა და რეფშორდმა პენალტით ანგარიში გახსნა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე უკვე შეხვედრის გმირად მოგვევლინა, რადგან ზუსტი თავური დარტყმით პარტნიორები სწორედ მან იხსნა.

რაც შეეხება ექსტრატაიმს, იქ გადამწყვეტი სიტყვა მინდორზე შეცვლაზე შესულმა პრომესმა თქვა, რომელმაც რონალდ კუმანს ნდობა ჯერ უოლკერის ავტოგოლით დაუფასა, ხოლო შემდეგ — საკუთარი გატანილი ბურთით.

მთლიანობაში დინამიურ თამაშში ადვილი შესამჩნევი იყო გარეთ საუთგეიტის გუნდის უკანახაზელთა დაბნეულობა, რამაც გარკვეულწილად განაპირობა კიდეც ასეთი დასასრული.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ცივი და უკარება

პოპულარული უნგრელი ლამაზმანი, მოდელი და მსახიობი კლაუდია კოზმა თავის საქმეში ნამეტანი ტიტულმრავლობით გამოირჩევა და მის მკერდზე არაერთხელ გადაჭერილა წითელი ლენტა, რომელიც საზოგადოებას ამცნობდა, რომ სხვადასხვა დროს „მის ინტერნაციონალად", „მის უნგრეთად" და „მის უნივერსად" იყო დასახელებული.

აქედან გამომდინარე, კლაუდია კოზმას სამშობლოში არამხოლოდ ლამაზად გავლა-გამოვლა ხელეწიფება და ფეხეწიფება, არამედ სიტყვაც ეთქმის და როგორც ეს ქალბატონი ირწმუნება, ვეტერან რუმინელ ფეხბურთელს ადრიან მუტუს რამდენჯერმე ჰქონდა მცდელობა შეხვედროდა და ვნების ალში გაეხვია, მაგრამ მადიარმა ტურფამ ყველა ეს შეთავაზება ცივად უარყო.

მიუხედავად ჩვენს მიერ უკვე ხსენებული პოპულარობისა და ტიტულმრავლობისა, კლაუდია კოზმა აქამდე გათხოვილი არასოდეს ყოფილა და თავისუფალი ქალის სტატუსს დღემდე კოხტად ინარჩუნებს, ხოლო თუ რატომ გააპანღურა ბედოვლათი მუტუ — ამაზე კოზმას ქალი მხოლოდ იმას ამბობს, რომ მუდამჟამს ქალის დაუფლებაზე დაგეშილი მამაკაცების ატანა არა აქვს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ დღესასწაული

მოციქულთა სწორთა მეფისა მირიანისა და დედუფლისა ნანასი (IV ს.)

9 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მოციქულთა სწორთ მეფე მირიანს და დედოფალ ნანას; მათი ხსენება იდღესასწაულება აღდგომიდან მე-7 კვირას.

...ქართლის ცხოვრებაში იყო რაღაც პერიოდი, ურჯულოთა ზედამდგომელობით და წარმართთა შიშით (ზოგიერთმა) ქართველებმა დაივიწყეს შემოქმედი თვისი და ჯვარცმული მაცხოვარი. ამ დროს ქართლში მეფობდა მირიანი. მას ცოლად ჰყავდა პონტოელი მთავარსარდლის ასული ნანა. მირიანი სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა, თაყვანს სცემდა ცეცხლსა და ქართულ კერპებს. ბერძნებთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად, ქრისტიანული მოძღვრების შესახებაც ჰქონდა გაგებული, მის ყურამდე მისული იყო წმინდა კონსტანტინე დიდის მიერ მტრის სასწაულებრივი ძლევის ამბავი.

თავდაპირველად დედოფალი ნანა სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ნინოს ქადაგებას, გმობდა ახალ მოძღვრებას, ხოლო მის მქადაგებლებს უარყოფდა...

გავიდა ხანი. ერთხელ ნანა დედოფალი დასნეულდა და წმინდა ნინოს ლოცვით იგი გამოჯანმრთელდა... დედოფლის განკურნების შემდეგ მირიან მეფე ქრისტეს რჯულით დაინტერესდა. მეფეს ქრისტეს რჯულზე მოქცევის სურვილი გაუჩნდა. ერთ დღეს მირიანი სანადიროდ წავიდა თხოთის მთაზე. მთაზე ასულ მეფეს მზე დაუბნელდა, უკუნი ღამე ჩამოწვა. შეშინებულმა მირიანმა კერპებს შესთხოვა დახმარება, მაგრამ ისინი უგრძნობნი იყვნენ მლოცველის მიმართ. მაშინ მეფემ ჯვარცმულ ღმერთს შეავედრა თავი და მოხდა სასწაული: განათდა, მზე გამობრწყინდა, მირიანმა განიპყრნო ხელნი აღმოსავლისაკენ და თქვა: **„შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფლებათა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის“.**

აღსანიშნავია ის, რომ მცხეთაში დაბრუნებული მეფე ნინოსთან მიდის, მეორე დღესვე მან მოციქულნი კონსტანტინე მეფესთან საბერძნეთს წარავლინა და სთხოვა, ნათლისღებისთვის მღვდლები გამოეგზავნა .

წმინდა ნინოს რჩევით მეფემ ერთი ჯვარი თხოთის მთაზე აღმართა, მეორე — უჯარმაში, მესამე — მცხეთაში. ამით ქართლში ყველა კერპი დაიმსხვრა.

გიული ლიპარტია

ლაურა ღაჭავას ფარული მტრები ჰყოლია!

„ლილო სითის“ მფლობელი ლაურა ღაჭავა ლილოში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებით სკანდალურ განცხადებას აკეთებს. ღაჭავამ ჟურნალისტებთან თქვა, რომ მას მტრები ჰყავს და არ გამორიცხა, რომ ხანძარი მიზანმიმართულად გაეჩინათ.

მისი თქმით, ბაზრის ერთ-ერთმა დირექტორმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ხანძარი საწყობიდან გაჩნდა, რაც მას ეჭვებს უჩენს.

„ლილო სითის“ მფლობელი ამ ეტაპზე კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს იკავებს. ღაჭავას განცხადებით, მოვლენების განვითარებას დააკვირდება.

„ჩემთან ერთად მოხდეს იმ ვიდეოთვალის დალუქვა. ახლა ინფორმაციას ვღებულობ...

საიდანაც ცეცხლი გაჩნდა, იქ არც შუქი ყოფილა და არაფერი და უკვე ეჭვი მეპარება რაღაცებში.

ჩინელებმა, მეპატრონეებმა მომაწოდეს ინფორმაცია, რომ საწყობიდან გაჩენილა. საწყობი იყო დაკეტილი. შუქი არ არის, არაფერი არ არის. მითხარით, საიდან ცეცხლი?! ვინმემ ხომ არ შეაგდო რაღაც? ვინ, ამას ჯერ ვერ ვამბობ. ძალიან ბევრი მტრები მყავს. ვერ გეტყვით, ვის შეეძლო გაეკეთებინა“ — თქვა ღაჭავამ.

კითხვაზე უკავშირებს თუ არა ის მომხდარს შვილების საქმიანობას, ლაურა ღაჭავამ თქვა, რომ — „საკუთრ საქმიანობას უფრო ვუკავშირებ“.

ჭუბერში სოფლის ტერიტორიის ნაწილი დაიტბორა

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერის ცენტრში ადიდებულმა მდინარემ დამბა გაარღვია. მომხდარის გამო სოფლის ტერიტორიის ნაწილი დაიტბორა, თუმცა წყალს უშუალოდ მოსახლეობისთვის პრობლემები არ შეუქმნია.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე ნინო ვიბლიანი ამბობს, რომ ყველა შესაბამისი სამსახური მობილიზებულია, მუშაობს მძიმე ტექნიკა.

მისივე თქმით, მდინარის ადიდების შედეგად წაღებულია ერთი ხიდი და ერთი დაზიანებულია.

ადგილზე იმყოფება სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია.

ამასთან, მდინარე ნენსკრამ, რომელიც ძლიერი წვიმის და თოვლის დნობის შედეგად ადიდდა, ჭუბერის ხეობაში გასული წლის 5 ივლისს სოფლის ნაწილი დატბორა. წყალმა დაანგრია და წაიღო საცხოვრებელი სახლები, ხიდები, საავტომობილო გზები და სამეურნეო მიწები.

სულთათანა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე და ასოციაციის წევრები თანაუგრძნობენ ქალბატონ ლია ნადარეიშვილს შვილის

დათო გვასალიას

გარდაცვალების გამო.

ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, იგორ ქობალია, ვალერი ჭანტურია, ლერი ჭითანავა, ზურაბ გოგოხია, ვაჟა ფიფია, ოთარ ჭითანავა თანაუგრძნობენ ღრმა მწუხარებაში ღირსეულ ქალბატონს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ლია ნადარეიშვილს შვილის

დათო გვასალიას

გარდაცვალების გამო.

ბათუმში 18 წლის გოგომ მცირეწლოვანი დის წინ თავი ჩამოიხრჩო

ოჯახის წევრების თქმით, სუიციდის შემდეგ წერილი იპოვეს, სადაც დაღუპული შეყვარებულს 19 წლის ბიჭს „მკვლელს“ უწოდებს. მათი თქმით, თუ მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცავების შესაბამისი რეაგირება არ მოჰყვება, პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავენ და მიცვალებულს არ დაკრძალავენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. მიმდინარეობს გამოკითხვები.

ბორჯომიდან გაუჩინარებული 2 სკოლის მოსწავლე ზესტაფონში იპოვეს

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ინტენსიური საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად 6 ივნისს ბორჯომიდან გაუჩინარებული არასრულწლოვნები იპოვეს. ისინი იმერეთის რეგიონში, ზესტაფონში იმყოფებოდნენ. 15 წლის არასრულწლოვნების ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ ორივე არასრულწლოვანი გვიან ღამით მშობლებთან ოჯახებში დაიბრუნა.

სასტიკი მკვლელობა გარდაბანში

გარდაბანში ცოლ-ქმარი მოკლეს. როგორც „ნიუპოსტს“ ადგილობრივები უყვებიან, მოკლული ცოლ-ქმრის სხეული იმდენადაა დასახიჩრებული, რომ ადგილზე მისულ ნათესავებს მათი იდენტიფიცირება გაუჭირდათ.

როგოც ცნობილია, ცოლ-ქმარი გარდაბანში მცირე ბიზნესს ფლობდა, ხოლო მათი შვილი მოსკოვში ბიზნესსაქმიანობით არის დაკავებული. ახლობლები მოტივად შურისძიებას ასახელებენ.

ამაღლების დღესასწაულის აღნიშვნა ტრაგედიით დასრულდა

ასპინძაში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. სარო-ხიზაბავრის დამაკავშირებელ გზაზე ავარიას 20 წლამდე ასაკის ნიჯგორის მკვიდრი შ.გ. ემსხვერპლა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი მძღოლი რ.ბ. მრავლობითი დაზიანებით სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ახალციხეში გადაიყვანა.

ინფორმაციას ამის შესახებ „მეცხრე არხი“ ავრცელებს. მათივე ცნობით, ახალგაზრდებმა ამაღლების დღესასწაული ძველ ნაეკლესიარზე, ე.წ. ოდისების ტერიტორიაზე აღნიშნეს.

თურქეთის მოქალაქეს მკვლელობისთვის 17 წელი მიუსაჯეს

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, განზრახ მკვლელობასა და ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობასა და დამამძიმებელ გარემოებაში, ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ლ.უ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ 2018 წლის 24 ნოემბერს ღამით, ქ.ბათუმში, სამორინე „პრინცესაში“ ლ.უ.-მ, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით უზბეკეთის მოქალაქე ორ ქალს ი.ზ -ს და ხ.მ.-ს დანით ჭრილობები მიაყენა: ი.ზ.-ს გულმკერდის და ფეხის არეში, ხოლო ხ.მ.-ს სახისა და სხეულის არეში ხუთი ჭრილობა. მიღებული დაზიანებების შედეგად ი.ზ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ლ.უ. შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ლ.უ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ანსამბლი „ჩაკრულო“ ვაშინგტონში

ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსის ეროვნული საზოგადოება (NSS) ყოველ წელს, „კოსმოსის განვითარების საერთაშორისო კონფერენციას“ ატარებს. წლევანდელი კონფერენცია გუშინ დაიწყო და 9 ივნისის ჩათვლით გასტანს. ის ვაშინგტონის გვერდით, ვირჯინიის შტატის ქალაქ არლინგტონში მიმდინარეობს, სადაც ქართული ფოლკლორული ანსამბლი „ჩაკრულოცაა“ მიწვეული.

ბავშვთა ანსამბლი პარასკევს, 7 ივნისს, 1-საათიან კონცერტს გამართავს, რომლის საკვანძო ნაწილიც კოსმოსში 42 წლის წინ გაგზავნილი სიმღერა „ჩაკრულო“ იქნება.

კონფერენციის დახურვამდე ანსამბლის წევრებმა არლინგტონის სასაფლაოზე გენერალ ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის საფლავი მოინახულეს და მის ხსოვნას პატივი მიაგეს.

არლინგტონის სასაფლაოდან ბავშვებმა ლინკოლნის მემორიალთან გადაინაცვლეს და მუსიკალური ფლეშმობი დადგეს.

„ამერიკის ხმა“ მალე შემოგვთავაზებს ინფორმაციას კოსმოსის ეროვნული საზოგადოების კონფერენციისა და ქართველი მომღერლების გამოსვლის შესახებ.

მარიამ უგრეხელიძე

ტაძარი აღდგენაზე ლიცენზიას საუკუნენახევარი ელოდა

ბარსელონის მერიამ საგრადა ფამილიას ტაძარზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების ნებართვა გასცა.

მშენებლობაზე ლიცენზიის გაცემა ბარსელონის მერიისა და ტაძრის წარმომადგენლებს შორის ორწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ გაიცა.

საგრადა ფამილიამ მშენებლობაზე ლიცენზია 137 წლის შემდეგ მიიღო.

2018 წლის ოქტომბერში ტაძრის წარმომადგენლები დათანხმდნენ ბარსელონის მერიისთვის 36 მლნ ევროს გადახდას ქალაქის სასარგებლოდ, იმის გამო რომ ტაძარს მშენებლობის უფლება 130 წელზე მეტ ხანს არ ეძლეოდა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ტაძარი ამ თანხას 10 წლის განმავლობაში გადაიხდის. ფინანსები ტაძრის გარშემო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასა და მიმდებარე ქუჩების კეთილმოწყობას მოხმარდება.

ტაძრის მშენებლობა ცნობილი არქიტექტორის ანტონიო გაუდის პროექტის მიხედვით 1882 წელს დაიწყო.

მთელი ამ დროის განმავლობაში ტაძრის მშენებლობა დაუსრულებელი იყო. საგრადა ფამილიას მშენებლობის დამთავრება მხოლოდ 2030 წლისთვის იგეგმება.

მოსალოდნელია ყველაზე ცხელი ზაფხული

ცხელი ზაფხული და მოსალოდნელი მაღალი ტემპერატურა — დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე მოსახლეობას რეკომენდაციებს აძლევს.

მისი თქმით, ტემპერატურის მიმართ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს ქრონიკული დაავადებების მქონე ხანდაზმულები წარმოადგენენ.

გამყრელიძის ძირითადი რეკომენდაციები ასე გამოიყურება:

„ხშირად დავიბანოთ ხელები, ხშირად და გრილი წყლით, ხშირად გავანიავოთ ჩვენი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ტემპერატურა იქნება 25-29 გრადუსზე. განსაკუთრებით საფრთხილოა, თუ ტემპერატურა სახლის შიგნით 25 გრადუსზე ზემოთ იქნება. ამ დროს, როგორც სამუშაო ადგილზე, ისე სახლში, უნდა ჩატარდეს შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებები.



მომატებულ ტემპერატურას და გარეთ სიარულს თავი უნდა აარიდონ ხანდაზმულებმა და ბავშვებმა.

მომატებული ტემპერატურის დროს, არის რისკი გამწვავდეს სხვადასხვა დაავადება, არასათანადოდ შენახული საკვების გამო, ასევე არასათანადო წყლის პროდუქტების მიღების შემდეგ, შეიძლება მთელი რიგი ინფექციური დაავადებები განვითარდეს და გამწვავდეს.

სითბური ტალღის დაკვრის შედეგად, შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა დაავადება, როგორც ბავშვებში, ისე ხანდაზმულებში, მაგრამ ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი, ამ შემთხვევაში მომატებული ტემპერატურის მიმართ გახლავთ ხანდაზმულები სხვადასხვა ქრონიკული დაავადებით, როგორიცაა გულსისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ფილტვების ქრონიკული დაავადებებით ავადმყოფები“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

დროებით თავი შეიკავეთ თუშეთში მოგზაურობაზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო თუშეთში მოგზაურობის მსურველებს აფრთხილებს, რომ საავტომობილო გზის გახსნამდე თავი შეიკავონ ტერიტორიაზე სტუმრობისგან.

10 მაისს, უხვი ნალექების შედეგად, სოფელ ლეჩურთან გზის სავალი ნაწილი წყალმა წაიღო, რის გამოც, მეცხრე კილომეტრიდან 72-ე კილომეტრამდე მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

ადგილზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ინტენსიურ სამუშაობს ატარებს გზის გაწმენდისა და აღდგენის მიმართულებით, რათა უმოკლეს ვადებში შესაძლებელი გახდეს თუშეთის მიმართულებით უსაფრთხო გადაადგილება“, — აღნიშნულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციაში.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
ჩიქობავას ქ. №42/5.
599 79-76-79; 568 82-09-84

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7411; ევრო - 3.0794;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4785;
100 რუბლი - 4.2057; თურქული ლირა - 0.4752;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6131;
1000 სომხური დრამი - 5.7106.

ამინდი 8 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+29
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge